



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

გიორგი ახალკაცი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

ნუგზარ თევდორაძე

თბილისი

2021

შინაარსი

ანოტაცია-----	3
Annotation-----	4
შესავალი-----	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა -----	7
თავი II. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემადგენლობა	
2.1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური შემადგენლობა -----	8
2.2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური შემადგენლობა -----	19
2.3. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის თანამონაწილეების და ამსრულებლის მიერ -----	28
თავი III. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით	
3.1. გერმანული მოდელი -----	42
3.2. ფრანგული მოდელი -----	49
3.3. სხვა ევროპული ქვეყნების მოდელები -----	50
თავი IV. კვლევის შედეგები -----	53
დასკვნა -----	54
გამოყენებული ლიტერატურა -----	57

ანოტაცია

დანაშაული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ანუ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებაა. თუ პირმა ნებაყოფლობით აიღო დანაშაულზე ხელი, მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა. დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე გვექნება ნებაყოფლობით ხელის აღება, როცა თავიდან აცილებული იქნება შედეგის დადგომა. ნებაყოფლობითი ხელის აღების შესახებ ნორმა წამახალისებელია, პირი იმიტომ კი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, რომ მას არ ჩაუდენია დანაშაული, არამედ იმიტომ, რომ მან სამართლებრივი სიკეთის დაზიანება აცილოს თავიდან. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ბრალის გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებას არ წარმოადგენს, ის პასუხისმგებლობიდან პერსონალური გათავისუფლების საფუძველია.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, ხუთი თავის, ექვსი ქვეთავის და დასკვნისაგან, რომელსაც ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

ნაშრომის პირველ თავში მოკლად არის საუბარი იმ ლიტერატურზე, რომელიც გამოვიყენე თემაზე მუშაობისას. მეორე თავში განხილულია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემადგენლობა; ნაშრომის მესამე თავი შეეხება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით; ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სასამართლო პრაქტიკა; მეხუთე თავში საუბარია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით დამუშავებული სამეცნიერო მასალის კვლევის შედეგებზე. დასკვნაში შეჯამებულია თემაში განხილული ყველა საკითხი.

Annotation

Criminal law determines the crime as illicit conduct that is the ground of criminal liability. The person releases from criminal charges if he or she voluntarily abandons a crime. Withdrawal from a crime takes place in cases when the consequences of the crime avoid. The legal norm about the abandonment of a crime has an encouraging nature. The person releases from criminal liability not for the ground that he or she has not committed the crime but to circumvent the violation of legally protected interests. Voluntary abandonment of the crime is not the circumstance of excluding the guilt, but it is the case to withdraw from criminal liability.

The Master's thesis consists of the abstract, introduction, five chapters, six sub-chapters, conclusion, bibliography, and enclosures.

The first chapter of the thesis is the review of literature; The second chapter of the thesis discusses the abandonment of crime; The third chapter of the thesis discusses the regulation of the abandonment of crime at the international level. The fourth chapter of the thesis discusses the judicial practice of the abandonment of crime; The fifth chapter of the thesis is the results of the research; The last chapter of the thesis is the conclusion

შესავალი

თემის აქტუალობა. კანონმდებელმა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში იძულებით ხასიათის ღონისძიებების გამოყენების კვალდაკვალ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 21-ე მუხლი შემოიტანა, რომლის თანახმად პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მან ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე. ამდენად ეს ე.წ. წამახალისებელი ნორმა გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ მოსალოდნელი სასჯელისგან პირის გათავისუფლებას იწვევს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თავისი ბუნებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის კლასიკურ ინსტიტუტთა შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმა წამახალისებელი, მასტიმულირებელი ნორმაა, რომლის დროსაც პირი დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შემადგენლობას მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად ახორციელებს, ე.ი. დანაშაულს ჩადის, თუმცა გამომდინარე სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებიდან და მიზნებიდან არ ისჯება, რათა დაცულ იქნას მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთე დანაშაულის ბოლომდე არ მიყვანით. იმისათვის, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებულ იქნას, კანონმდებელი ერთ მნიშვნელოვან პირობას აყენებს: თავიდან უნდა იქნას აცილებული დანაშაულებრივი შედეგი.

კვლევის მიზანი. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების ანალიზი, მათი შეპირისპირება და კონკრეტული დასკვნების გამოტანა, პრობლემატურ შემთხვევათა განსხვავებული კუთხით წარმოჩენა.

კვლევის ამოცანა: თემის აქტუალობიდან და კვლევის მიზნიდან გამომდინარე კვლევის ამოცანაა შემდეგი საკითხების შესწავლა:

- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური შემადგენლობა;
- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური შემადგენლობა;
- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის თანამონაწილეების და ამსრულებლის მიერ;
- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება საზღვარგარეთი ქვეყნების კანონმდებლობით.

კვლევის მეთოდოლოგია. სამაგისტრო ნაშრომის შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძველია ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ. თემაზე მუშაობისას გამოვიყენე კვლევის შემდეგი მეთოდები: მეორადი ანალიზის მეთოდი - სხვადასხვა წიგნებიდან გამოყენებული მასალა, ციტატები; დოკუმენტური ანალიზის

მეთოდი - მნიშვნელოვანი განმარტება ბრალდებულის თაობაზე, კვლევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განვითარების ტენდენციების თაობაზე და სხვა დოკუმენტები;

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ თემა შეხებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გარშემო. ასეთები იყო: გ. თუმანიშვილის სისხლის სამართლის პროცესი, ო. გამყრელიძის სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, ი. დვალიძის, ი.ვესელის, ვ. ზოილკეს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, მ. ტურავას სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, მ. ტურავას სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გ. ნაჭყებიას და სხვების სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, გ. ტყემელიაძის სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თ. წერეთლის დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თ. წერეთლის სისხლის სამართლის პრობლემები, თ. ცქიტიშვილის ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, თ. ცქიტიშვილის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, ლ. ხარანაულის დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა, ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, დ. სულაქველიძის ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე, დისერტაცია, ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, რომელიც საინტერესო იყო და შედარებით-სამართლებრივ ანალიზს წარმოადგენს და მრავალმხრივ გვაჩვენებს საკითხის მთავარ მახასიათებლებს. ზემოთ ჩამოთვლილი წიგნების უმრავლესობა გამოცემულია 2010-2018 წლების შუალედში და მათში ახლებურად არის დანახული დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსი და მნიშვნელობა.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალა, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

ქართული ლიტერატურის მსგავსად, გამომადგა და დახმარება გამიწია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ უცხოურმა ლიტერატურამ, როგორცაა: Baumann J., Weber U., Mitsch W., Strafrecht Allgemeiner Teil, Lehrbuch, მე-11 გამოცემა, Bielfeld, 2003; Leipziger Kommentar StGB, მე-12 გამოცემა, ტომი I, §1-31, Berlin, 2007; Dubber M. and Hornle T. 2014. Criminal Law. A Comparative Approach. Croydon, Oxford University Press; Thesis: Developmental stages of offense. Pilsen, University of West Bohemia in Pilsen Faculty of Law. 12-13; Kohout V. 2013.

თავი II. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემადგენლობა

2.1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური შემადგენლობა

დანაშაული როგორც დამთავრებული ისე დაუმთავრებელი შეიძლება იყოს. კარგა ხანია სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ დანაშაულის დამთავრების მომენტი პირობითია და დამოკიდებულია დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო ცნებაზე.¹

ყაჩაღობის მუხლის საკანონმდებლო დეფინიციისგან განსხვავებით მკვლელობის შემადგენლობები, სამართლებრივი სიკეთის დაზიანების სტადიაზე აცხადებენ ქმედებას დამთავრებულად. კანონმდებელი დანაშაულად არა მხოლოდ დამთავრებულ, არამედ დაუმთავრებელ დანაშაულსაც თვლის. ეს უკანასკნელი სახეზე მაშინ გვაქვს, როდესაც პირმა თავისი დანაშაულებრივი განზრახვა ნაწილობრივ ან ბოლომდე ვერ განახორციელა.²

შესაძლოა დანაშაული, როგორც განზრახ ისე გაუფრთხილებლობით იქნეს ჩადენილი. სსკ-ის მე-9 მუხლის მეორე და მესამე ნაწილები განზრახი დანაშაულის დეფინიციას გვაძლევს, რომლის თანახმადაც ქმედება ჩადენილია განზრახ, თუ პირს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა გაცნობიერებული ჰქონდა, მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას ითვალისწინებდა და ეს შედეგი ერთ შემთხვევაში სურდა, ან პირდაპირი განზრახვით ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას ითვალისწინებდა, ან ეს შედეგი არ სურდა, მაგრამ უშვებდა შეგნებულად, ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას გულგრილად ეკიდებოდა.³

საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მეხუთე ნაწილი როგორც აქტიური, ასევე პასიური ქმედებით განხორციელებულ ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევებს არეგულირებს. აღნიშნული მუხლი როგორც მოქმედების, ასევე უმოქმედობით ხელის აღების ფაქტებზე ვრცელდება. ტერმინი ქმედება როგორც მოქმედებას ასევე უმოქმედობას მოიცავს. წმინდა უმოქმედობისას სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობა ითვლება უკვე დამთავრებულ დანაშაულად.⁴

ამიტომ დოგმატიკურად წარმოუდგენელია წმინდა უმოქმედობის მცდელობა. პასიური ქმედებით ნებაყოფლობით ხელის აღება მაშინ არის სახეზე, როდესაც დამნაშავე დანაშაულის

¹ ქ.მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბ., 2013, გვ.11.

² ქ.მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2013, გვ. 11.

³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მე-9 მუხლი, მეორე და მესამე ნაწილი.

⁴ ლ.ხარანაული, სადისერტაციო ნაშრომი, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2013., გვ. 355-356.

შემდგომ განხორციელებას გადაიფიქრებს და აღარ იმოქმედებს. თუმცა, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე დანაშაულის მომზადების სტადიაზე უმოქმედობით ხელის აღებას ვერ მოახერხებს, არამედ აუცილებელია მან ამისათვის განახორციელოს რაღაც მოქმედება.

შერეული უმოქმედობის დროს დანაშაულის როგორც მომზადება ასევე მცდელობა შესაძლებელია, ამიტომ დანაშაულზე ხელის აღება შესაძლებელია შერეული უმოქმედობის დროს. შერეული უმოქმედობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება როგორც მოქმედებით ასევე უმოქმედობითაა შესაძლებელი. ნებაყოფლობით ხელის აღება ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული პოზიციის თანახმად, როგორც დაუმთავრებელი, ასევე დამთავრებული მცდელობის სტადიაზეა შესაძლებელი. ზოგიერთ გერმანელ მეცნიერს გააჩნია ანალოგიური პოზიცია. ისინი იმაზე მიუთითებენ, რომ დამნაშავეს დამთავრებული მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღება მხოლოდ აქტიური მოქმედებით შეუძლია, რათა დანაშაულის დამთავრებას შეუშალოს ხელი. თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის მეცნიერება საკითხისადმი ამგვარ მიდგომას სამართლიანად უარყოფს და თვლის, რომ დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დამნაშავეს როგორც აქტიური, ასევე პასიური ქმედებით შეუძლია აიღოს ხელი.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი მოიცავს საინტერესო საკითხების ფართო წრეს. სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის დამოუკიდებელი სწავლა. როდესაც ხელის აღება ნებაყოფლობით ხდება დაწყებული დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე საკითხის ამ კუთხით წარმოჩენა არ აიხსნება მარტო წმინდა ფსიქოლოგიური ინტერესით, ვინაიდან საქმე პიროვნების ისეთ მოქმედებას ეხება, რომელიც იწვევს განსაზღვრულ სისხლის სამართლებლივ შედეგებს. დაწყებულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას აგრეთვე, პიროვნების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების იურიდიული დასაბუთებისთვისაა მნიშვნელოვანი.

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი. დაწყებული დანაშაულის შემთხვევაში, რომლის დროსაც, სუბიექტს თავისი მოქმედების მნიშვნელობა შეგნებული აქვს, მისგან გამომდინარე შედეგებს თვალისწინებს და იგი სურს. ნებაყოფლობით ხელის აღების დაშვება ქმედებაში ბრალის გამოვლინების დროს შეუძლებელია, რადგან ასეთი რამ თვით ნებაყოფლობით ხელის აღების ბუნებასთან სავსებით შეუსაბამოა. დაწყებულ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას იქმნება მოვლენათა განვითარების ასეთი ხასიათი: პირი რომელიმე კონკრეტული დანაშაულის ჩადენისაკენ პირდაპირი განზრახვით მიმართულ ქმედებას იწყებს. ამ მომენტიდან იგი თავის დამახასიათებელ

ნიშანს იძენს, რომელსაც პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროება ეწოდება და სამართლის სფეროში ექცევა. სუბიექტი დანაშაულებრივად მოქმედებს დაწყებული დანაშაულის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე და მისი ქცევა იძენს სრულიად საპირისპირო შინაარსს, რომელიც სრულდება თავდაპირველი განზრახვის საწინააღმდეგოდ სხვა სოციალური და იურიდიული მნიშვნელობის მქონე შედეგით.⁵

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას საინტერესოა საბოლოო შედეგის გამომწვევი მიზეზები. ცნობილია ნებაყოფლობით ხელის აღების იურისპრუდენცია, თუ პირი ისეთ ვითარებაში მოქმედებს, სადაც მას სრული შესაძლებლობა აქვს დაწყებული დანაშაული ბოლომდე მიიყვანოს და ასეთი შესაძლებლობის არსებობა მტკიცედ სწამს. დაწყებულ დანაშაულზე ხელის აღებისას კანონმდებელი პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას ნებით აქტს განსაზღვრულ მნიშვნელობას ანიჭებს, ანუ იმის გარკვევას სუბიექტის თავისუფალი ნების გამოვლინება ნამდვილად იყო თუ არა დანაშაულზე ხელის აღება.

პროფესორი თ. წერეთელი აღნიშნავს, თუ პირი რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით იღებს ხელს ასე მსჯელობს, მე შემძლია დანაშაული ბოლომდე მივიყვანო, მაგრამ ეს არ მსურს. პირიქით თუ სუბიექტი მსჯელობს, მე დანაშაულის ბოლომდე მიყვანა მსურს, მაგრამ ეს შეუძლებელია ჩემთვის, აქ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას აღარ აქვს ადგილი.

შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ პირის ნებელობითი აქტებია დანაშაულის დაწყებაც და შემდგომ მასზე ხელის აღებაც. ნებაყოფლობით იღებს ხელს მის შემდგომ გაგრძელებაზე დაწყებული დანაშაულის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე და სრულიად საპირისპირო მიმართულებით ახდენს შემობრუნებას. იქნება ეს დამნაშავე თუ არადამნაშავე, ყველა ნორმალური ადამიანი ნებელობითი მოქმედების უნარიტაა დაჯილდოებული. თავისუფლება მოწმობს პიროვნების თავისი მომავალი ქცევისადმი გარდაქმნას. როგორც მიუთითებს დ.უზნაძე იგი მე-დან გამომდინარე აქტივობაა, რომელშიც მომავალი ქცევის მიმართ ირკვევა სუბიექტის პოზიცია.⁶

პროფესორი თ. წერეთელი მართებულად აღნიშნავს, რომ მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობის მოხსნის საკითხი, როდესაც დამნაშავეს წინაშე იყო თავისუფალი არჩევანი, დანაშაული ბოლომდე მიეყვანა, მასზე ხელი აელო და მან არჩია დანაშაულზე ხელის აღება.⁷

⁵ დ. სულაქველიძე, დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, ჟურნალი აღმანახი, სამართალი, 1980, N4, გვ. 47.

⁶ დ. სულაქველიძე, დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, ჟურნალი აღმანახი, სამართალი, 1980, N4, გვ. 48.

⁷ იქვე, გვ. 48.

ამასთან დაკავშირებით გერმანელი კრიმინალისტი ფრანც ლისტის თვალსაზრისი გავიხსენოთ. იგი წერს, ხელის აღება არა გარეგანი გარემოებებით უნდა იყოს გამოწვეული, არამედ მოქმედი პირის თავისუფალი გადაწყვეტილებიდან უნდა გამომდინარეობდეს, იმისგან განურჩევლად იგი შიშის, მონანიების, მორალური თუ ფიზიკური ზიზღის, თუნდაც ყველაზე მდაბალი გრძობების ზეგავლენით იყო მიღებული.⁸

მცდელობის დასჯადობის სამართლებრივ საფუძველს ობიექტური თეორია ობიექტთან ახლოს მდგომ საფრთხეში ხედავს. ობიექტურმა თეორიამ უვარგისი მცდელობის დასჯადობა უარყო. ობიექტური თეორიის მიხედვით, როდესაც სახეზე შედეგის არ არსებობა გვხვდება, მცდელობისათვის სასჯელის სავალდებულო შემცირება განისაზღვრება.

ადამიანი ოდითგანვე დანაშაულის ჩადენისკენ იყო მიდრეკილი. ყოველთვის ჰქონდა ლტოლვა განუხორციელებინა ისეთი ქმედება, რაც მას უპირატეს მდგომარეობაში წარმოაჩენდა ნაკლები ძალისხმევის შედეგად. ეს მაშინაც ხდებოდა, როცა ერთი ადამიანის მკვლელობა უდრიდა დედამიწის მეოთხედის განადგურებას და მით უფრო ეხლა, როცა ქვეყნად ერთად თანაცხოვრობს რვა მილიარდზე მეტი ადამიანი. დღეს უკვე იმის თქმა თამამად შეიძლება, რომ ადამიანს უბრალოდ არ შეუძლია დანაშაულის ჩადენის გარეშე, დაწყებული ვაშლის ქურდობით დამთავრებული ტერორიზმით, დანაშაული კაცობრიობის განვითარების, თითოეული ეტაპის განუყოფელი ნაწილი იყო. შედეგად ისევე როგორც სხვა ცივილიზებულ ქვეყანათა კანონმდებლები ქართველი კანონმდებლებიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დანაშაულთა სისტემატიზაცია და მათი სრულყოფილად, ამომწურავად გადმოცემა საჭირო.

ადამიანის ცნობიერება და ცხოვრების სტილი იცვლებოდა დროთა განმავლობაში, ახალ და მრავალფეროვან დანაშაულებს ვიღებდით. მაგალითად, ძველი რომაელებისა და ბერძნებისთვის სრულიად ბუნებრივი იყო, რომ სატრანსპორტო დანაშაულზე მსჯელობის საკითხი არ დადგებოდა დღის წესრიგში.⁹ ამის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად შეგვიძლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი მივიჩნიოთ, რომლის ანალოგსაც შევხვდებით სხვა მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსშიც. ამ უკანასკნელის დეფინიციიდან გამომდინარე დანაშაული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია.¹⁰

თანამედროვე გაგებით, დანაშაული ადამიანის, გონიერი ინდივიდის მიერ განხორციელებულ, კოდიფიცირებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას წარმოადგენს. დანაშაულთა

⁸ დ. სულაქველიძე, დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, ჟურნალი აღმანახი, სამართალი, 1980, N4, გვ. 49.

⁹ იქვე, გვ. 49.

¹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მე-7 მუხლი, პირველი ნაწილი.

პარალელურად დამნაშავეთა ბუნებაც მრავალფეროვანია. ჩვენი ინტერესის ობიექტს პიროვნება წარმოადგენს, რომელსაც რიგ შემთხვევებში დაწყებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბოლომდე მისაყვანად არ აღმოაჩნდება შინაგანი მზაობა და გარკვეულ ეტაპზე დანაშაულის ჩადენაზე ხელს აიღებს. სსკ-ის 21-ე მუხლი იმ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას ითვალისწინებს, ვინც დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით აიღებს ხელს.¹¹ ამასთან დაკავშირებით იურიდიულ წრეებში რამდენიმე თეორია განვითარდა, რომელთაგან სისხლის სამართლის მეცნიერები შემდეგ სამ შეხედულებაზე ამახვილებენ ყურადღებას. ესენია: ოქროს ხიდის ანუ კრიმინალურ-პოლიტიკური თეორია, შეწყალების ანუ წახალისების თეორია და სასჯელის მიზნის თეორია.

აღნიშნული გამონათქვამები გამოჩენილ გერმანელ იურისტს ა.ფოიერბახს ეკუთვნის, რომლის აზრითაც კანონმდებელი დამნაშავეს უკან დასაბრუნებლად უშენებს ოქროს ხიდს იმ შემთხვევისთვის, თუ ის დანაშაულის გაგრძელებაზე უარს იტყვის. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის პრივილეგიის მინიჭებამ დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული საფრთხე მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს. თუ დამნაშავეს გაუჩნდებოდა იმის განცდა, რომ რადგან დანაშაულებრივ მორევში ერთხელ უკვე ღრმად შესცურა, მას დასჯიდნენ ნებისმიერ შემთხვევაში, ვერ დაინახავდა მისგან თავის დაღწევის გზას, მას დაწყებული ქმედების ბოლომდე მისაყვანად სურვილი გაუმძაფრდებოდა.

დამნაშავეთა ბუნებიდან გამომდინარე რიგ შემთხვევაში ისეთი პიროვნება გვევლინება თავდამსხმელად, რომელიც თავისი იდეოლოგიითა და ხედვით დანაშაულებრივ საქმიანობას ეწინააღმდეგება და ემიჯნება, მაგრამ გამომდინარე გარკვეული ცხოვრებისული გადაცდომიდან კონკრეტული კანონგარეშე ქმედების განხორციელების შესაძლებლობას უშვებს. მსგავს ინდივიდებს ყველაზე ხშირად გადამწყვეტ მომენტში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სურვილი უჩნდებათ. კრიმინალურ პოლიტიკური თეორიის მიხედვით, სახელმწიფომ ხელის აღების შემთხვევაში დამნაშავეს უნდა მისცეს გარკვეული სტიმული სასჯელის გამოუყენებლობით, რათა მან თავიდან აიცილოს შედეგი.¹²

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში ოქროს ხიდის ანუ იგივე კრიმინალპოლიტიკური თეორიის წინააღმდეგ გაჩნდა მრავალი არგუმენტი. საწინააღმდეგო პოზიციის მიხედვით როდესაც დამნაშავემ სახელმწიფოს

¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 21-ე მუხლი.

¹² ლ. ხარანაული, დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, თბ., 2013, გვ. 321.

მხრიდან ასეთი დათმობის შესახებ იცის, უკვე საეჭვოა, რომ დამნაშავემ კანონიერად მოქმედება გადაწყვიტოს, ვინაიდან დანაშაულის უშუალო დაწყებისას უარყოფილია სასჯელის მუქარა, ამიტომ იმის პროგნოზირება ძნელია, რომ დამნაშავე ნებაყოფლობით ხელის აღების მხედველობაში მიღებით, სასჯელისგან განთავისუფლების მოტივით იხელმძღვანელებს. ავტორთა ნაწილის აზრით კრიმინალ-პოლიტიკური თეორიის მიზანი დანაშაულის თავიდან აცილებაა მხოლოდ და იგი ნებაყოფლობით ხელის აღებაში ვერ ხსნის ნებაყოფლობითობის აუცილებლობას.¹³

მიუხედავად ყველაფრისა სხვა თეორიებისგან განხვავებით, აღნიშნული თეორია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მნიშვნელობას ყველაზე უკეთ ხსნის. ის ქმედების ჩამდენს საშუალებას აძლევს ოქროს ხიდის დახმარებით განხორციელებულ ქმედებამდელ სამართლებრივ მდგომარეობას დაუბრუნდეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი, რომელიც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს არეგულირებს, არა იმდენად დანაშაულეზი ქმედების განმახორციელებელ პირს იცავს, არამედ მეტწილად დაზარალებულის უფლებათა გარანტირად გვევლინება თავის მხრივ, ეს იქნება დამნაშავესთვის შეწყალების თეორიის მიხედვით გაკეთებული საჩუქარი, იგივე აგებული ოქროს ხიდი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება წახალისების თუ სასჯელის მიზნის თეორიის მიხედვით, პირველ რიგში დაზარალებულის ინტერესებს და მის დაცვას ემსახურება. წახალისების თეორია თავისი არსით, კერძოდ დამნაშავეს ქცევის წახალისებით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მომენტი იგულისმება, კი არ მიჰყვება დაზარალებულის დაცვის ხაზს, არამედ შეფასების ცენტრში დამნაშავეს პიროვნებას აყენებს.¹⁴

განსახილველი თეორიის მიხედვით დამნაშავეს მიერ უარის თქმა სამართლებრივ სიკეთის ხელყოფაზე და ამ გზით დაბრუნება კანონიერების ფარგლებში ქმედების განმახორციელებელი პირის დასაჩუქრებას იმსახურებს, მაგრამ მეორეს მხრივ სასჯელისგან განთავისუფლების საფუძველს ღიად ტოვებს და იმაზე არაფერს ამბობს, თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაუსჯელი რატომ უნდა დარჩეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაციაა.¹⁵

¹³ ლ. ხარანაული, დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, თბ., 2013, გვ. 322.

¹⁴ ლ. ხარანაული, დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, თბ., 2013, 322.

¹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 39-ე მუხლის პირველი ნაწილი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში განსხვავებულადაა სასჯელის მიზნები მოწესრიგებული, რისი მიზეზიც უნდა ვეძებოთ დამნაშავეს სპეციფიკურ ბუნებაში. ნებისმიერ შემთხვევაში სასჯელის მიზნის თეორია სწორედ ზემოთდასახელებულ მიზანთა პარალელურად განიხილავს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს. აღნიშნული თეორიის თანახმად, ვინაიდან დამნაშავე დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტისას უბრუნდება ლეგალურ პოზიციას და ისეთი ძლიერი აღარ არის მისი დანაშაულებრივი ნება, როგორც ეს იქნებოდა დანაშაულის განხორციელებისას, როგორც დამნაშავეს მხრიდან მომავალში დანაშაულის კვლავ ჩადენის თვალსაზრისით ისე სამართლიანობის აღდგენისა და რესოციალიზაციის თვალსაზრისითაც აქტუალობას კარგავს მისი დასჯის საკითხი.¹⁶

როგორც არ უნდა იყოს დამნაშავე, არის რამდენიმე წამიანი მომენტი დანაშაულის ჩადენის დროს, როდესაც ის საკუთარ თავს აუცილებლად კითხავს თუ რასაც სჩადის რამდენად ღირს იმის გაკეთება. ეს კითხვა ზოგ ადამიანში მეტად, ზოგთან ნაკლებად იწვევს დაკვირვებას. თუ მას ეცოდინება, რომ მის მიერ გასროლილი ტყვია მოხვდა მსხვერპლს და დაიჭრა, ხოლო ვინაიდან სახეზე უკვე გვაქვს დაჭრა მას აღარ რჩება უკან დასახევი გზა, აუცილებლად დანაშაულის ბოლომდე მიყვანის სურვილი გაუჩნდება, რაც დიდი ალბათობით დასრულდება მსხვერპლის გარდაცვალებით. ის დაეჭვების მომენტი, რომელიც დამნაშავეს დანაშაულებრივი ქმედების ბოლომდე განხორციელებაზე აბრკოლებს, დაკარგავს სიმძაფრეს და სურათის განვითარებაზე არსებით გავლენას ვეღარ მოახდენს. ამდენად კანონმდებელმა საქართველოს სსკ-ში 21-ე მუხლის სახით ერთგვარი წამახალისებელი, მასტიმულირებელი ნორმა შემოიტანა, რომლის თანახმადაც დანაშაულის ბოლომდე არ მიყვანის გამო პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს.¹⁷

აღნიშნული ნორმისთვის მთავარი და ამოსავალი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენაა, რაც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი ხელის აღების მოტივს ყურადღებას არ აქცევს, ეს სასჯელის შიშით განხორციელდა თუ ადამიანური გრძნობების გაღვიძებით დამნაშავეში. მთელი იურისპრუდენციის ხერხემალს წარმოადგენს ის ფაქტი რომ დანაშაული სასჯელის გარეშე არ არსებობს. ყოველი კონკრეტული დანაშაულისთვის შესაბამისი სასჯელია განკუთვნილი, რომლის გარდაუვალობაც არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ, მაგრამ გამომდინარე ერთის მხრივ სასჯელის მიზნებიდან, ხოლო მეორეს მხრივ მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი

¹⁶ ლ. ხარანაული, დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, თბ., 2013, გვ. 323.

¹⁷ ლ. ხარანაული, დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, თბ., 2013 გვ. 323.

გარემოებებიდან, შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან სასჯელის სახით იძულებითი ღონისძიების გამოყენების სავალდებულობას არ მოითხოვდეს პირის მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ხასიათის ქმედება.

სსკ-ის მე-8 და მე-9 თავები მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა შემთხვევებს ეხება. სრულიად ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ვინაიდან არ დგება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ალების მომენტში ეს მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება ხომ ამ არ არის? ყველა იურისტი ცალსახად თანხმდება იმაზე, რომ პირის სასჯელისგან გათავისუფლების პერსონალური საფუძველი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ალება და არა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობათა გამომრიცხველი რომელიმე გარემოება.

ფორმალურად მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა იმავდროულად ყოველთვის არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ უმართლობას, ვინაიდან მთელი რიგი გარემოებები არსებობს, რომელთა არსებობის შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მოქმედების ან უმოქმედობის განხორციელება, მართლწესრიგის ხელყოფად არ შეიძლება იქნას მიჩნეული. მაგალითად, ვინც ადამიანს განზრახ მოუსპობს სიცოცხლეს, მართლსაწინააღმდეგოდ ფორმალურად მოქმედებს, მაგრამ თუ ეს ქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში განხორციელდა, როცა პირი ყაჩაღური თავდასხმისგან თავს იცავდა, იგი მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს. ყაჩაღობის მსხვერპლი მატერიალურად მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს. მხოლოდ მაშინ არის ქმედება მატერიალურად მართლსაწინააღმდეგო, როცა იგი არ შეიძლება გამართლებული იქნას მართლწინააღმდეგობის არცერთი გარემოებით.¹⁸

კონკრეტულ მომენტში ფართო გაგებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან არ გვაქვს საქმე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ალების შემთხვევისგან განსხვავებით, სადაც მართალია განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მაგრამ დანაშაულის ბოლომდე არ მიყვანის გამო სახელმწიფო პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. ავტორთა ნაწილი თვლის, რომ მიუხედავად ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათისა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა ფარგლებში მოქმედება ქმედების განმახორციელებელ პირს საზოგადოებრივად საშიშ პერსონაჟად არ ქმნის. ხელისაღების შემთხვევისგან განსხვავებით, როდესაც პირი ქცევის შესასრულებლად ზოგად სავალდებულო წესებს განზრახ არღვევს და როგორც კონკრეტულად დაზარალებულისთვის, ისე სხვა გარშემომყოფი პირებისთვის მომეტებულ საფრთხის წყაროს წარმოადგენს.

¹⁸ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 178.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა მსგავსად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არც ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს არ იძლევა. მიუხედავად ამისა განსახილველი საკითხი ბრალის გამომრიცხველ ზეკანონური გარემოების ჩამონათვალსაც სცდება. შემდეგნაირად არის ფორმულირებული სსკ-ის 38-ე მუხლი: ის, ვინც კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს სხვა ისეთი გარემოებების არსებობისას, რომელიც თუმცა ამ კოდექსით სახელდება არ არის მოხსენიებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ამ ქმედების არაბრალეულობის პირობებს ბრალეულად არ მოქმედებს.¹⁹

ის ფაქტი რომ კანონმდებელი არ ასახელებს ამ მუხლით კონკრეტულად რა გარემოებაა ნებაყოფლობით იმის თქმის საფუძველს არ გვადლევეს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ისეთ მოქმედებათა კატეგორიაში მოვაქციოთ, როგორც ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებანია. ბრალუნარიანობის დროს, როდესაც პირის შეურაცხაობის გამო საერთოდ არ ხდება ბრალეულის გაკიცხვა, საპატიებელი გარემოებანი ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, რომლის დროსაც პირს, განსაკუთრებული ინდივიდუალური მდგომარეობის გამო, მხოლოდ ეპატიება, მიეტევა სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ან განადგურება.²⁰ მის მსგავსებას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს.

ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმა წამახალისებელი, მასტიმულირებელი ნორმაა, რომლის დროსაც პირი დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შემადგენლობას მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად ახორციელებს, ე.ი. დანაშაულს ჩადის, თუმცა გამომდინარე სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებიდან და მიზნებიდან არ ისჯება, რათა დაცულ იქნას მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთე დანაშაულის ბოლომდე არ მიყვანით. იმისათვის, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებულ იქნას, კანონმდებელი ერთ მნიშვნელოვან პირობას აყენებს: თავიდან უნდა იქნას აცილებული დანაშაულებრივი შედეგი. სსკ-ის 21-ე მუხლის მთავარი ამოცანა სწორედ ესაა, სამართლებრივი სიკეთე იქნას დაცული.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა პირს მართლაც სურს ეს შედეგი თავიდან აიცილოს, საამასოდ გარკვეულ მოქმედებებს აკეთებს კიდევ, მაგალითად, მსხვერპლის დაჭრის შემთხვევაში სასწრაფოს გამოუძახებს, პირველად სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენს და ა.შ. მაგრამ მაინც დგება დანაშაულებრივი შედეგი, დაზარალებული გარდაიცვალა მიყენებული ჭრილობის შედეგად. ნებაყოფლობით ხელის აღება როგორც დანაშაულის მომზადების, ისე დაუმთავრებელი და

¹⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 38-ე მუხლი.

²⁰ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა თბ., 2013, გვ. 220.

დამთავრებული მცდელობის ეტაპზე შესაძლებელი. აღნიშნული პრობლემა სწორედ დამთავრებული მცდელობის სტადიაზე იჩენს თავს, ანუ როდესაც პირმა თავისი აქტიური მოქმედებით ისეთი ქმედება განახორციელა, შემთხვევის ისეთი პროცესულური განვითარება შექმნა, რომელსაც დამნაშავის შემდგომი საქმიანობის გარეშე შეუძლია დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვიოს. ასეთ დროს ისლა დარჩენია ქმედების ჩამდენს, თავისი აქტიური მოქმედებით ეს შედეგი თავიდან აიცილოს. თუ ის გაწეული ძალისხმევით მიუხედავად თავიდან ვერ იცილებს შედეგს, ბუნებრივია მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს წარუმატებელი ხელის აღება დამნაშავის მიერ გაწეული დახმარების უშედეგობის გამო დადგა მაგალითად ის პირველადი დახმარება რაც დამნაშავემ გაუწია დაზარალებულს არ აღმოჩნდა საკმარისი თუ აღნიშნული განაპირობა მცდელობისგან დამოუკიდებელმა შემთხვევითმა გარემოებებმა.²¹

ქართველი მეცნიერების მიერ დაფუძნებული რამდენიმე თეორია არსებობს, რომლის ნამდვილობას და სანდოობას ბევრი ქართველი კანონმდებელი იზიარებს და თითოეულ ამ თეორიას ბევრი მიმდევარიც ჰყავს.

რამდენიმე მათგანი განვიხილოთ. პროფესორი თინათინ წერეთელი მართებულად ობიექტურ თეორიას მიიჩნევს დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საფუძვლად. მისი აზრით დანაშაულის მცდელობა ისეთი ქმედებაა, რომელიც დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ზიანის საფრთხეს ქმნის რომელიმე ობიექტისთვის. თ.წერეთლის განმარტებით, მხოლოდ ის არის შესაძლებელი, რასაც სინამდვილედ გადაქცევის უნარი აქვს.

პროფესორი თინათინ წერეთელი იმაზე მიუთითებს, რომ მცდელობის ცნება დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევის რეალურ საფრთხეს ქმნის, რომელიც დანაშაულის განხორციელებისკენაა მიმართული. თ.წერეთელი თვლიდა რომ დასჯადი არ უნდა ყოფილიყო უვარგისი მცდელობა. გამყრელიძე ასევე იზიარებს ობიექტურ თეორიას. მისი აზრით დანაშაულის მომზადების დროს, აბსტრაქტულ საფრთხეს აქვს ადგილი, მცდელობის დროს კი კონკრეტულ ხასიათს ატარებს საფრთხე, ხოლო საფრთხე დამთავრებული დანაშაულის შემთხვევაშია რეალიზებული.²² სისხლის სამართლის მეცნიერებაში ობიექტურ თეორიას მხარს ქ.მჭედლიშვილი-ჰედრიხი უჭერს.

კონკრეტული საფრთხე დანაშაულის მცდელობის ერთ-ერთი მატერიალურ ობიექტური ნიშანია. გერმანული სისხლისსამართლის თეორიის მიხედვით დამთავრებული მცდელობა სახეზე მაშინ არის, როცა დამნაშავემ თავისი წარმოდგენით შედეგის გამოწვევისათვის განახორციელა

²¹ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი I., თბ., 2007, გვ. 537.

²² თ. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბ., 2013, გვ. 161.

ბოლო ქმედება. დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა ერთმანეთისაგან იმიჯნება დამნაშავეს წარმოდგენაზე დაყრდნობით. იმ შემთხვევაშიც კი აქვს დამთავრებულ მცდელობას ადგილი, როცა მას შედეგის დადგომა შეცდომით ჰქონია. მცდელობა რომ დამთავრებულად ჩაითვალოს დამნაშავეს თვითდაჯერების არსებობა აუცილებელი. ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მცდელობის ათვლის წერტილს დანაშაულის შემადგენლობის წინ მდგომი ქმედებების განხორციელების მომენტი განსაზღვრავს. წმინდა უმოქმედობის დელიქტებში დანაშაულის მცდელობის დასაბუთება შესაძლებელი არ არის, იმის გამო, რომ ერთმანეთს ემთხვევა ასეთ დანაშაულებში ქმედების შემადგენლობის დაწყებისა და დამთავრების მომენტი.

დამთავრებული მცდელობის დაწყებასთან დაკავშირებით სამი შეხებულება არსებობს. პირველი შეხედულების მიხედვით, მცდელობა მაშინ ჩაითვლება დამთავრებულად, როდესაც დაზარალებული დანაშაულის ჩასადენად შერჩეული საშუალების ქვეშ ექცევა. მეორე შეხედულების მიხედვით, მცდელობა დამთავრებულად წინარე ქმედებაში გადასვლის დროს ითვლება, მაგალითად შეიძლება მუქარა ან დანაშაულის საშუალების დამზდება ჩაითვალოს. მესამე შეხედულება პირველ შეხედულებასა და მეორეს შორის შუალედურ კავშირს იჭერს. გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში შეხედულება წარმოიშვა, რომ დანაშაულის ჩადენა უმოქმედობით დელიქტებშიც არის შესაძლებელი.

ამრიგად, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ დანაშაულის მცდელობის დაწყებასთან დაკავშირებით ხუთი პოზიცია არსებობს:

- პირველი პოზიციის მიხედვით, მცდელობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დაზარალებულის გადარჩენის პირველი შანსი ამოიწურა;
- მეორე პოზიციის მიხედვით, მცდელობა მაშინ იწყება, როცა ამოწურულია დაზარალებულის გადარჩენის ბოლო შანსი;
- მესამე პოზიციის თანახმად, უმოქმედობას ადგილი მაშინ აქვს, როდესაც დამნაშავეს ჰგონია რომ დაცულ სამართლებრივ სიკეთეს მომეტებულ საფრთხეს უქმის;
- მეოთხე პოზიციის მიხედვით, როდესაც დამნაშავე მოვლენებზე ბატონობას კარგავს, მაშინ მომეტებული საფრთხე ვლინდება;
- მეხუთე პოზიციაში საუბარია, რომ ამ შემთხვევაში მთავარი დამნაშავეს წარმოდგენაა, ხოლო იმას, ნამდვილად ექმნება თუ არა საფრთხე დაცულ სამართლებრივ სიკეთეს არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური შემადგენლობის შესწავლის შემდეგ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური შემადგენლობის შესწავლა.

2.2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური შემადგენლობა

თავდაპირველად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაში არანაირი ყურადღება არ ექცეოდა მიზანს, მაგრამ გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ 1982 წელს მის მიერ გამოტანილ განაჩენში როგორც ხელის აღების სუბიექტური ელემენტი მიუთითა მიზანი. ამის შემდეგ გერმანიის სისხლის სამართლის ლიტერატურაში იგი გამოიხატა სხვადასხვა ტერმინებით. ნებაყოფლობითობა ხელის აღების გამიზვნას პრინციპულად ითვალისწინებს. თუმცა ნებაყოფლობით ხელის აღებას შესაძლებელია ასევე, ადგილი გამიზვნის გარეშეც ჰქონდეს.²³

დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტის დროს, დანაშაული ჩადენილია, წერს ო. გამყრელიძე. ამიტომ პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება შეუძლებელია სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძველზე ხდება.

სუბიექტური თეორიების მიხედვით ყველაზე მთავარი დამნაშავის სუბიექტური ნებაა. დასჯადობის წინაპირობას დანაშაულებრივი საქმიანობა წარმოადგენს. მეცნიერი ბური სახელდება სუბიექტური თეორიების ფუძემდებლად. მისი მოძღვრების თანახმად დაუმთავრებელი ქმედება რეალურად, ობიექტურად მცდელობაში არ გაიგება. მცდელობისათვის გადამწყვეტ ნიშნად მეცნიერი ბური ხელყოფისკენ მიმართულ ნებას აფასებდა. ბური იმ მეცნიერთაგან ერთერთი იყო, რომელიც დასჯადად ირეალურ მცდელობას მიიჩნევდა. მოწონების თეორიის წარმომადგენელი ბიკელმანია. მისი აზრით, დანაშაულის მცდელობა სახეზე მაშინ არის, როცა დანაშაულებრივი განზრახვა კრიტიკული სიტუაციის გამოცდას გაუძლებს. დარწმუნების თეორიის მიხედვით დანაშაულის მცდელობას ადგილი მაშინ აქვს, როცა დამნაშავეს ქმედების ჩადენა გადაწყვეტილი აქვს ისეთი სიმტკიცით, რომ შეუძლებელია ქმედების განხორციელებაზე უარის თქმა. ობიექტურ და სუბიექტურ თეორიებს შორის შუალედურ პოზიციების ადგილს შერეული თეორები იკავებენ. მცდელობის დუალისტური თეორიის მიხედვით მცდელობა შესაძლებელია როგორც სუბიექტურად ისე ობიექტურად ცალცალკე ან ერთობლივად იყოს საშიში. ამ თეორიის მიხედვით მცდელობის დასჯადობა განზრახვაზე არ არის დამოკიდებული. საფრთხის შესახებ დამნაშავის ცოდნას მნიშვნელობა მხოლოდ ბრალისათვის აქვს.

მ.ტურავა აკრიტიკებს ცალკე აღებულ ობიექტურ და სუბიექტურ თეორიებს და ყურადღებას შერეულ თეორიაზე ამახვილებს. ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებულია, რომ მცდელობის ცნების ჩამოყალიბებას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

²³ ლ. ხარანაული, დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, თბ., 2013, 332.

²⁴ მ. ლომსაძე, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2014, გვ 72.

საფუძვლად შერეული თეორია დაედო. ასევე თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ყველაზე მეტად მისაღებია შერეული თეორია.

კოგნიტური ელემენტის მაღალი შემცველობის გამო, განზრახი დანაშაული საზოგადოებისთვის ბევრად უფრო საშიში და მომეტებული საფრთხის წყაროა. როგორც მე-9 მუხლის დეფინიციიდან ჩანს, ასეთ დროს, დამნაშავე დანაშაულებრივ ქმედებას გაცნობიერებულად სჩადის და უარეს შემთხვევაში ის სავალალო შედეგის დადგომისკენ მიისწრაფვის კიდევ. დანაშაულის ჩადენა არა მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას გულისხმობს, არამედ არსებობს ასევე განზრახი დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა, რომელიც თავის თავში მოიცავს განზრახვას და განზრახი დანაშაულის სხვა სუბიექტურ ნიშნებს.²⁴

დაუმთავრებელი დანაშაულის დროს მეტი აქცენტი კეთდება სწორედ სუბიექტურ შემადგენლობაზე. ასეთ დროს სრულად არ არის განხორციელებული ობიექტური შემადგენლობა, მარტივად რომ ვთქვათ სრულყოფისთვის აკლია რაღაც და ეს რაღაც სწორედ არ ქონაა იმ დანაშაულებრივი შედეგის, რომლისკენაც ქმედების ჩამდენი პირი მიისწრაფვოდა.

დაუმთავრებელი დანაშაულის დროს პირმა მხოლოდ ნაწილობრივ, საერთოდ ვერ, ან ბოლომდე ვერ განახორციელა თავისი დანაშაულებრივი განზრახვა. მამსადამე სახეზე ან დანაშაულის მომზადება გვაქვს, როდესაც პირმა ქმედების განსახორციელებლად განზრახ შექმნა გარკვეული პირობები, ან დანაშაულის მცდელობა, როდესაც ეს უკანასკნელი მართალია კონკრეტულ განზრახ ქმედებას ახორციელებს, რომელიც დანაშაულის ჩადენისკენ უშუალოდაა მიმართული, მაგრამ ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი დანაშაული.

ვინაიდან დაუმთავრებელი დანაშაულის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაა, მისი სუბიექტური შემადგენლობის თავისებურებანი ხელის აღების შემთხვევებშიც პოვებენ ასახვას. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება როგორც მომზადების ისე მცდელობის სტადიაზე შესაძლებელია. სხვაგვარად რომ ვთქვათ ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმა მომზადებისა და მცდელობის სტანდარტებითაა შეზღუდული.²⁵

²⁴ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 124.

²⁵ Leipziger Kommentar StGB, მე-12 გამოცემა, ტომი I, §1-31, Berlin, 2007.

დანაშაულის მომზადების დროს თუ შემადგენლობა შედეგს მოიცავს, მაშინ სუბიექტური მხარე დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნის და დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისკენ მიმართულ განზრახვას მოიცავს და ეს ნებაყოფლობით ხელის აღებისთვისაც საერთოა.²⁶

რაც მცდელობის სუბიექტურ მხარეს შეეხება, დამნაშავე პირდაპირი თუ ევენტუალური განზრახვით მოქმედებს, ქმედების განზრახვის ხარისხს ექცევა ყურადღება. მეცნიერ-იურისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობს იწვევს არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა. პროფესორი მერაბ ტურავა მიუთითებს, რომ ევენტუალური განზრახვის დროს მართალია პირს საკანონმდებლო დეფინიციიდან გამომდინარე არ სურს დამდგარი შედეგი მაგრამ ნებელობის ხარისხის განულება იქნებოდა არასწორი.²⁷

თუმცა ასეთ დროს სურვილის ნორმატიული გაგებით დეფინიციის საკითხს გვერდს ვერ ავუვლით, რაც ფაქტობრივად წაშლიდა პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვათა შორის განსხვავებას. თ. ცქიტიშვილი სამართლიანად მიუთითებს, როცა აღნიშნავს, რომ მხოლოდ ფსიქოლოგიური შინაარსის კატეგორიაა სურვილი და მისი გარკვეული მნიშვნელობის მიუხედავად ნორმატიულ დარგში, იგი ნორმატიულ კატეგორიად ვერ გადაიქცევა. ასევე ისეთი ცნებები, როგორც სურვილი, მიზანი, მოტივი და გადაწყვეტილება შეიძლება აიხნას მხოლოდ ფსიქოლოგიურად. იქ სადაც არ არსებობს თავისი ბუნებრივი მნიშვნელობით გარკვეული შედეგის გამოწვევის სურვილი, ნორმატიულად ვერ დასაბუთდება მისი არსებობა.²⁸

რაც შეეხება მიზანსა და მოტივს დაუმთავრებელი დანაშაულისთვისაც ის შეიძლება ნებისმიერი რამ იყოს, ხარვეზი არა სუბიექტურ არამედ ობიექტური მხარის ნაწილშია დამახასიათებელი, როდესაც პირი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის ფარულად დაუფლებას უშედეგოდ შეეცდება. სუბიექტურ ნაწილში აქ რომ ხარვეზი ყოფილიყო და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დამგარიყო, მსჯელობა კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის შესახებ სათუო იქნებოდა. ამდენად ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე როგორც სუბიექტური მხარის ნიშანს, განზრახვას დაუმთავრებელი დანაშაულის განხილვის დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

დაუმთავრებელი დანაშაული დანაშაულის მომზადებას და მცდელობას მოიცავს. იქ სადაც დინამიკური განვითარების შედეგად ქმედება მცდელობის სტადიას გასცდა და დანაშაულებრივი

²⁶ ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი., დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2013, გვ. 33.

²⁷ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 127.

²⁸ თ. ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, #4, თბ., 2014, გვ. 54.

შედეგი მივიღეთ, დაუმთავრებელ დანაშაულსა და შესაბამისად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საუბარი საფუძველს კარგავს. აქ ისეთი შემთხვევები არ იგულისხმება, როცა სამართლებრივი შედეგის დადგომას არ მოითხოვს ქმედების დამთავრებულ დანაშაულად გამოცხადება, მაშასადამე ხელის აღების საკითხიც სწორედ მომზადებისა და მცდელობის ეტაპზე უნდა იქნას განხილული. აღნიშნული ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან იღებს დასაბამს, როდესაც განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დაფიქსირებული იყო მნიშვნელოვანი მიდგომები.

მაგალითად, ავტორთა ერთი ნაწილი ევენტუალური განზრახვით მცდელობის განხორციელების შესაძლებლობას დასაშვებად თვლის და შედეგისადმი ნებელობითი ელემენტის არსებობაზე მიუთითებს. გაბატონებული მოსაზრების თანახმად კი დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით განხორციელებულიყო, მაგრამ ისეთებიც იყვნენ, ვინც მართალია არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის განხორციელების შესაძლებლობას უშვებდნენ, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით გაუმართლებლად მიიჩნევდნენ მისი დასჯადობის საკითხს. ასევე საკამათოა იურიდიულ ლიტერატურაში ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის განხორციელების შესახებ საკითხი. სსკ-ის მე-9 მუხლის საკანონმდებლო დეფინიციიდან ჩანს, რომ დამნაშავე მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას ითვალისწინებდა, მაგრამ ეს შედეგი არ სურდა.²⁹

პროფესორ თ. წერეთლის აზრით, შეუძლებელია ადამიანმა მოამზადოს დანაშაულის ჩასადენად პირობები და მას ეს შედეგი არ სურდეს. მიუხედავად იმისა, რომ პირმა დანაშაულის ჩასადენად უკვე მოამზადა ობიექტური პირობები, იყიდა იარაღი მისი დანაშაულებრივი საქმიანობისთვის გამოსაყენებლად, დანაშაულის ჩადენის დაუკონკრეტებელი სურვილი ან მომავალში დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის შესახებ ზოგადი საუბარი დანაშაულის მომზადების სუბიექტურ მხარედ არ შეიძლება ჩაითვალოს.³⁰ თუმცა საპირისპირო მოსაზრებასაც თავის მომხრეები ჰყავს, რომლებიც მიუთითებენ, რომ ვინაიდან ყოველთვის მიზნით არ არის დეტერმინირებული პირდაპირი განზრახვა, შესაძლებელია რომ დანაშაულის მომზადება არაპირდაპირი განზრახვითაც განხორციელდეს.³¹

ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის განხორციელების საკითხი კიდევ უფრო საკამათოა. ზოგადად განზრახვა როგორც კოგნიტური ანუ ინტელექტუალური, ისე

²⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მე-9 მუხლი.

³⁰ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2013, გვ. 33-34.

³¹ ლ. ხარანაული, დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, თბ., 2013, გვ. 58.

ვოლუნტატური ანუ ნებელობითი ელემენტისგან შედგება. ერთმანეთისგან პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვებს სწორედ ნებელობა და შედეგის არ დადგომის სურვილი განასხვავებს. სსკ-ის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის დეფინიციაში მოქმედის მიერ შედეგისადმი სურვილის არ ქონაზე კანონმდებელი ცალსახად მიუთითებს, რაც თავის მხრივ იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ კანონმდებელმა შედეგისადმი ნებელობითი კომპონენტი იმთავითვე გამორიცხა, მაგრამ ნორმატივიზაციაზე მიუთითებენ მცდელობის ევენტუალური განზრახვით შესაძლებლობის მომხრეები სურვილის და ამით ნებელობას ფართო გაგებით განიხილავენ. მაშინ სრულიად ბუნებრივად ისმება კითხვა თუ რა აუცილებლობითაა გამოწვეული, რომ სურვილი ნორმატიულად გავიგოთ და სურვილის არსებობა მაშინ დავადასტუროთ, როცა მისი ბუნებრივი სახით არ არსებობს სურვილი?³² ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ სსკ-ის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაულის მცდელობად ისეთი განზრახი ქმედება ითვლება, რომელიც უშუალოდ დანაშაულის ჩასადენად იყო მიმართული, მაგრამ დანაშაული ბოლომდე მიყვანილი არ იქნა.³³ ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის განხორციელების წინააღმდეგ ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი სწორედ მცდელობის დეფინიციაში მოცემული სიტყვებია: უშუალოდ და მიმართული.³⁴

იმაზე აპელირება, რომ დღეს მოქმედი კოდექსის თავდაპირველი ვარიანტი მცდელობის განხორციელების პირდაპირი განზრახვით შესაძლებლობაზე აკეთებდა დათქმას, ხოლო ახალ კოდექსში ასეთი დათქმის ამოღება გულისხმობს ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის დასაშვებობას, რაც პროფესორ მ.ტურავას არ მიაჩნია მართებულად.³⁵

მცდელობის მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე მცდელობა განმარტებულია, როგორც დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართული ქმედება, რაც მხოლოდ ახასიათებს პირდაპირ განზრახვას.³⁶ ევენტუალური განზრახვის დროს პირს არ აქვს დანაშაულებრივი შედეგის დადგომის მიზანი, მაშინ როცა ეს უკანაკნელი არის მცდელობის დამფუძნებელი ელემენტი.³⁷

ამდენად უშუალოდ მიმართული ქმედება პირდაპირი განზრახვის არსებობას ისედაც გულისხმობს, კანონმდებელმა დამატებით მცდელობის განხორციელების პირდაპირი განზრახვის ნორმის სტრუქტურაში გადმოცემა მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა. პირიქით, იმისათვის, რომ

³² თ. ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის., ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №4, თბ., 2014, გვ. 55.

³³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მე-19 მუხლი, პირველი ნაწილი.

³⁴ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, 2013, გვ. 245.

³⁵ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა თბ. 2013, გვ. 139.

³⁶ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, 2013, გვ. 245.

³⁷ გ. ნაჭყებია და სხვები, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 384.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კანონმდებელს არ დაეტოვებია რაიმე კითხვები სისხლის სამართლის კოდექსში საფრთხის შემქნელი დელიქტები იქნა შემოტანილი, რომელმაც 127-ე და 128-ე მუხლებში პოვა ასახვა, სადაც სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებასა და განსაცდელში მიტოვებაზეა საუბარი.³⁸ გარდა ამისა ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა სსკ-ის 117-ე მუხლის შემადგენლობასაც ექვექვემ დააყენებდა, კერძოდ თუ კანონმდებელი როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის განხორციელების შესაძლებლობას დაუშვებდა, მაშინ აზრს დაკარგავდა სხეულის სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანების არსებობა.³⁹

თავად ევენტუალური განზრახვით მცდელობის განხორციელების მომხრეებიც ხედავენ მსგავსი პრობლემებისა და ქმედების არასწორად კვალიფიკაციის საფრთხეებს. უფრო მეტიც მ.ტურავას ინიციატივით, სასურველია თუ საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდება და ევენტუალური განზრახვის კატეგორიის უარყოფით ახალი სამართლებრივი ფიგურა იქნება შემოტანილი, რომელიც არაპირდაპირ განზრახვასა და თვითიმედოვნებას გააერთიანებს, რომელსაც შეიძლება დანაშაულებრივი გულგრილობა ეწოდოს.⁴⁰ თუმცა თ. ცქიტიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ განზრახვის ცნებიდან ევენტუალური განზრახვის გატანის წინადადება იმ დებულების მართებულობას კიდევ უფრო ექვექვემ აყენებს, რომლის თანახმად დანაშაულის მცდელობა არაპირდაპირი განზრახვითაც შესაძლებელია.⁴¹

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით მხოლოდ მომზადებისა და მცდელობის სტადიაზეა შესაძლებელი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ხოლო ევენტუალური განზრახვით შეუძლებელია მომზადებისა და მცდელობის განხორციელება, ბუნებრივია, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების განხორციელებაც ევენტუალური განზრახვით შეუძლებელია.

კანონმდებელი გარდა შედეგის თავიდან აცილების სავალდებულობისა დამნაშავეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების სანაცვლოდ სხვა პირობასაც უწესებს. კერძოდ მის მიერ განხორციელებული შედეგის არ დადგომისკენ მიმართული გამოსასწორებელი ქმედება, ნებაყოფლობით უნდა იყოს განხორციელებული. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დროს სხვა გარეშე ძალების ზემოქმედება დამნაშავეს ნებაზე უარყოფითად იქნება აღქმული.

³⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 127-ე და 128-ე მუხლები.

³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 117-ე მუხლი.

⁴⁰ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 141.

⁴¹ თ. ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, #4, თბ., 2014, გვ. 56.

პრაქტიკაში სწორედ დანაშაულის შეწყვეტის ნებაყოფლობითობის საკითხია ყველაზე მეტად პრობლემური, რომელიც თავის მხრივ დანაშაულის შეწყვეტის მოტივთან მჭიდრო კავშირშია. ჩემი აზრით არასწორი ინტერპრეტაცია იქნებოდა დანაშაულის მხილების კონკრეტული შიშით გამოწვეული ხელის აღების ფაქტის დაუსჯელად წარმოჩინება, რამდენადაც საპატრულო ეკიპაჟის შემთხვევითმა გამოჩენამ დანაშაულის ადგილთან ახლოს ან დამნაშავის დამოუკიდებლად ფაქტობრივი გარემოებების რადიკალურად ცვლილებამ, მას სასჯელისგან გათავისუფლების გარანტია არ უნდა მისცეს.

ხელის აღება მაშინ გვაქვს როცა სუბიექტს აქვს სრული შესაძლებლობა მისივე წარმოდგენით დანაშაულებრივი განზრახვა ბოლომდე განახორციელოს, მაგრამ გადაწყვეტს, რომ მასზე ხელი აიღოს. თავის მხრივ ეს შესაძლოა არაზნეობრივი მოტივით იყოს განპირობებული, მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს აღნიშნული. მ.ვ. ლიასის აზრით, ყველა მოტივი, რომლითაც სუბიექტი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას ხელმძღვანელობდა, ერთნაირი მნიშვნელობისაა, რამდენადაც მათ პიროვნება დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღებამდე მიიყვანეს, რაც მოცემულ მომენტში მასში დანაშაულებრივი განზრახვის არ არსებობას მოწმობს და მის საზოგადოებრივ საშიშროებას აღმოფხვრის.⁴²

თუმცა ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით განსხვავება აქვს პირი სასჯელის შიშის გამო იღებს დანაშაულზე ხელს თუ გამომდინარე რელიგიური გრძნობებიდან, რამდენადაც მათი აზრით ამ უკანასკნელზე დანაშაულებრივი ქმედების კვლავ განმეორების საშიშროება დიდწილადაა დამოკიდებული. ნებაყოფლობით ხელის აღების მომენტში მნიშვნელოვანია, რომ სუბიექტის არჩევანი და მისი შემდგომი მოქმედება თავისუფალი და გარეშე ფაქტორებიდან ნაკლებად ზემოქმედებადი იყოს.

შემდეგი და აუცილებელი მოთხოვნა ის არის, რომ უსათუოდ საბოლოო უნდა იყოს გამოვლენილი ნება, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე უარის თქმა არა დროებითი, არამედ მუდმივი უნდა იყოს. განზრახვის გადადება მომდევნო დღისთვის უკეთესი პირობების შექმნის მოლოდინით სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების საკმარის საფუძვლად სამართლიანად არ მიიჩნევა. დ. სულაქველიძეს აზრით სუბიექტის მიერ მისგან დაწყებული დანაშაულებრივი ქმედების შემდგომ გაგრძელებაზე თავისის

⁴² დ. სულაქველიძე, დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, ჟურნალი აღმანახი, სამართალი, 1980, N4, გვ. 51.

ნებით უარის თქმა, ე.ი. მისი საბოლოოდ შეწყვეტა ან ამ დანაშაულის დამთავრების თავიდან აცილება დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებად უნდა ჩაითვალოს.⁴³

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ კანონმდებელი ორივე პირობის, ნებაყოფლობითობისა და საბოლოობის ერთდროულად, კუმულაციურად არსებობის საჭიროებას სავალდებულოდ მიიჩნევს, ამდენად დანაშაულზე ხელის აღების შემადგენლობას ცალკე აღებული ვერც ნებაყოფლობითობა და ვერც საბოლოობა ვერ მოგვცემს. თავისის ბუნებიდან გამომდინარე თუ ნებაყოფლობითობის საკითხი შედარებით მარტივი შეფასების საგანია, მეტ ძალისხმევას მოითხოვს გადაწყვეტილების საბოლოობის დადგენა. აღნიშნული ორ ეტაპად განვიხილოთ, პირველი როდესაც ამსრულებელი ქმედების განხორციელების კონკრეტულ ეტაპზე დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე იღებს ხელს, რათა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს, მაგრამ იმის შესაძლებლობას უშვებს, რომ სხვა შესაძლო მომენტში თავდაპირველი განზრახვა სისრულეში მოიყვანოს, და მეორე, როდესაც ამსრულებელი მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას შედეგის თავიდან ასარიდებლად არ გამოიყენებს. საქმე ისაა, რომ შეფასების საგანია ორივე განსახილველი შემთხვევა. სასამართლო გადაწყვეტილებებში ხშირად ისმის, რომ ხელის აღება სასჯელისგან გამათავისუფლებელი ეფექტით მხოლოდ იმ ადამიანს შეეძლო, რომელმაც მთლიანად და საბოლოოდ უარყო საკუთარი დანაშაულებრივი გადაწყვეტილების ხორცშესხმა.⁴⁴

აღნიშნული დანაწესი გაგებულ არ უნდა იქნეს ისე, თითქოს კანონმდებელი დამნაშავის ქცევის ყველა მომდევნო გამოვლინებას არეგულირებს, მეტიც არავის შეუძლია განსაზღვროს თუ ის გარკვეული პერიოდის შემდეგ რას მოიმოქმედებს და სხვა ხელსაყრელ მომენტში მსგავსი ქმედების განხორციელებას შეეცდება თუ არა, რომლისთვისაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში ერთხელ არ იქნა მიცემული. მოსამართლემ საკითხის გადაწყვეტისას მის ხელთ არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა იხელმძღვანელოს, რომელიც იმის თქმის საფუძველს უნდა გვაძლევდეს, რომ ამსრულებელს ქმედების კვლავ განმეორების განზრახვა არ გააჩნია კონკრეტულ შემთხვევაში და მის მიერ დანაშაულის შეწყვეტა მყარი და საბოლოო გადაწყვეტილება იყო.

ზოგადი თვალსაზრისით მხოლოდ სსკ-ის 21-ე მუხლი არ მიუთითებს დანაშაულებრივი საქმიანობის აკრძალვასა და ქმედების არ ჩადენაზე. კანონმდებელი განსახილველი მუხლის

⁴³ დ. სულაქველიძე, ჟურნალი სამართალი N3-4, დანაშაულის მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, 1991, გვ. 9-10.

⁴⁴ ი. ვესელსი, ჰ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., 2010, გვ. 376.

დანაწეში არა ზოგადად დანაშაულებრივ საქმიანობაზე უარის თქმას მოიაზრებს, არამედ კონკრეტულ ეპიზოდში ქმედების არ დასრულების მყარ გადაწყვეტილებაზე მიუთითებს. შედეგად თუ მოსამართლე დაადგენს იმას, რომ პირმა დროებით გადადო პირვანდელი განზრახვის განხორციელება, სხვა უკეთესი ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე, ბუნებრივია, რომ მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას ვერ გაავრცელებს, ვინაიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მეორე სავალდებულო წინაპირობა, საბოლოობის ნიშანი არ გვექნება.

საბოლოო არ იქნება ნებაყოფლობით ხელის აღება მაშინაც თუ ქმედების ჩამდენმა პირმა შედეგის თავიდან ასაცილებლად მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა არ გამოიყენა. მაგალითად, „ა“-მ, „ბ“-ს ესროლა და დაჭრა, შემდეგ სინანულის გრძობა გაუჩნდა და გადარჩენა გადაწყვიტა რა მიზნითაც ეს უკანასკნელი წაიყვანა და დატოვა საავადმყოფოს ეზოში იმ იმედით, სათანადო დახმარებას აღმოუჩენდნენ და გადაარჩენდნენ. გამართლდა „ა“-ს ვარაუდი, საავადმყოფოს თანამშრომლებმა შეამჩნიეს დაჭრილი „ბ“ და სამედიცინო დახმარება დროულად გაუწიეს. მსგავსი სანახევროდ ხელის აღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად სამართლიანად არ უნდა იქნეს მიჩნეული. ფაქტია, რომ „ა“-მ თავისი აქტიური მოქმედებით ისეთი ქმედება განახორციელა, შემთხვევის ისეთი პროცესულური განვითარება შექმნა, რომელსაც დამნაშავის შემდგომი საქმიანობის გარეშე შეეძლო დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა. ქმედების ჩამდენს ასეთ დროს ისღა დარჩენია თავისი აქტიური მოქმედებით ეს შედეგი თავიდან აიცილოს და ამისთვის ამოწუროს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა. მოცემულ ეპიზოდში „ა“-ს მიერ გამოწვეული სამართლებრივი მდგომარეობა მოვლენათა განვითარების პროცესულური ჯაჭვიდან არ არის გამოთიშული. სამართლიანადაა მითითებული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ ხელის ამღებმა არ უნდა დაიშუროს ძალა იმისთვის, რათა შედეგი თავიდან აიცილოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ამღებს არ აქვს უფლება შემოიფარგლოს არასაკმარისი ან სულაც ბრიყვული ღონისძიებებით.⁴⁵

ამრიგად, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ზოგიერთი გერმანელი ავტორი ნებაყოფლობით ხელის აღების ერთ ერთ წინაპირობად ნებაყოფლობით ხელის ამღებისთვის აუცილებელ ქცევას

⁴⁵ ი. ვესელსი, ჰ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., 2010, გვ. 381-382.

მოიაზრებს, რაც მიუთითებს აქტიური მოქმედებისკენ, თუმცა შინაარსობრივად უმოქმედობის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს.⁴⁶

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური შემადგენლობის შესწავლის შემდეგ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დანაშაულის თანამონაწილეების და ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესწავლა.

2.3. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის თანამონაწილეების და ამსრულებლის მიერ

თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების წინაპირობები ერთი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის წინაპირობებთან შედარებით გაცილებით უფრო მკაცრია. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამკაცრებული წინაპირობების არსებობა იმითაა დასაბუთებული, რომ კანონმდებელი უფრო საშიშად მიიჩნევს რამდენიმე პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, ვიდრე ჩადენილს ერთი პირის მიერ და ამასთან, დანაშაულის დასრულების ხელის შეშლას ნებაყოფლობით ხელის აღების გამკაცრებული წინაპირობების საშუალებით ცდილობს.⁴⁷

სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით განისაზღვრება დანაშაულის ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ისინი იმავდროულად იყვნენ დანაშაულის თანაამსრულებლები. გარდა ამისა, როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს ისეთი ნიშანია, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ახასიათებს, მაშინ ეს ნიშანი სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს შეერაცხება, რომლის მხარესაც არ არსებობდა იგი, თუ მას ეს ნიშანი ჰქონდა შეცნობილი. პერსონალური ნიშანი, რომელიც ბრალისთვის ან ერთერთი ამსრულებლის ან თანამონაწილისათვისაა დამახასიათებელი, იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს შეერაცხება, რომელსაც ახასიათებს იგი. ასევე, ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ამსრულებელი შეიძლება კოდექსით გათვალისწინებული

⁴⁶ Baumann J., Weber U., Mitsch W., Strafrecht Allgemeiner Teil, Lehrbuch, მე-11 გამოცემა, Bielfeld, 2003, გვ. 634.

⁴⁷ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 113-115.

შესაბამისი დანაშაულის სპეციალური სუბიექტი იყო, პირს როგორც ორგანიზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება.⁴⁸

აღნიშნული მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ დანაშაული არ დაუმთავრებია ამსრულებელს, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის დაეკისრება. დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო დანაშაულის ჩასადენად სხვა პირის დაყოლიება ვერ შეძლო.⁴⁹ თუ დანაშაული ხორციელდება თანამონაწილეობით, ამსრულებლისა და ყოველი თანამონაწილისათვის იმისდა მიხედვით უნდა გადაწყდეს ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი, თუ თითოეულმა მათგანმა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაში რა როლი შეასრულა. პირიქით, თუ რომელიმეს დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაში თავისი წვლილი არ შეუტანია, მაგრამ სხვა თანამზრახველების მეცადინეობით არ დადგა შედეგი, იგი დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის აგებს პასუხს.⁵⁰

ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, თანამონაწილენი დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის აგებენ პასუხს.⁵¹ ამ დროს ყურადღება დანაშაულის კატეგორიასაც უნდა მიექცეს, რადგან სსკ-ით ისჯება მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება.⁵² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ, თუ მათ ამსრულებელი გადაარწმუნეს, ხელისუფლების ორგანოს დროულად შეატყობინეს ან ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს სხვაგვარად შეუშალოს ხელი და ამით დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა არ მისცეს. ნორმის ამ ნაწილში ისეთი შემთხვევა იგულისხმება, როდესაც თანამონაწილეებმა დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად ყველაფერი გააკეთეს, რაც მათზე იყო დამოკიდებული, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ განხორციელდა საკუთარი ინიციატივით.

ამგვარი ინიციატივა შეიძლება გამოიხატოს:

⁴⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁵⁰ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 189-200.

⁵¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 25-ე მუხლი.

⁵² იქვე, მე-18 მუხლი.

- ამსრულებლის ან სხვა თანამონაწილის გადარწმუნებაში. მაგალითად, წამქეზებელმა ამსრულებელს ურჩია ყაჩაღობა არ ჩაედინა, ან ორგანიზატორმა გადაარწმუნა წამქეზებელი ვინმე ქურდობის ჩასადენად აღარ გადმოებირებინა და ა.შ.;

- ინფორმაციის მიწოდებაში ხელისუფლების ორგანოში. ასეთი, სამართალდამცავი ორგანოებია ძირითადად, მაგალითად, პოლიცია, პროკურატურა, უშიშროების სამსახური და ა.შ. შესაძლებელია შეტყობინება პარლამენტს და მერიას მიეწოდოს;

- სხვაგვარად ხელის შეშლაში ნებისმიერი მოქმედება იგულისხმება, რაც დანაშაულის ბოლომდე მიყვანას გამორიცხავს. მაგალითად, თანხის გადახდა, შეპყრობა, საძილე წამლის მიცემა და ა.შ.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის გარდა თანამონაწილეთა ინიციატივისა, ფიზიკური დამხმარის გარდა თანამონაწილეებს, მეორე აუცილებელ პირობად დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილება მოეთხოვებათ. სსკ-ის 21-ე მუხლის 3-ე ნაწილის მეორე წინადადება ისეთ შემთხვევას ითვალისწინებს, როდესაც აღნიშნული მეორე პირობა, ე.ი. დანაშაულის შედეგის თავიდან აცილება, არ მოეთხოვება ფიზიკურ დამხმარეს იმისათვის, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად ჩაითვალოს მისი ქმედება.⁵³

ამის შესახებ კანონში ნათქვამია: დამხმარეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აგრეთვე არ დაეკისრება თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე თქვა უარი, შეპირებული ქმედება შეესრულებინა ან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება უკან დაიბრუნა. აქ ორი შემთხვევაა:

- შეპირებული ქმედების შესრულებაზე ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უნდა იყოს ნათქვამი დამხმარეს უარი. მაგალითად, ა-მ თავის მეგობრებს განუცხადა, რომ იგი ფაბრიკის კარებს ღიას დატოვებდა ქურდობის ჩასადენად, მაგრამ შეპირებული ქმედების შესრულებაზე დანაშაულის ჩადენამდე განაცხადებს უარს;

- დამხმარე დანაშაულის დასრულებამდე მის მიერ მიცემულ იარაღს ან საშუალებას უკან იბრუნებს. მაგალითად, ა-მ ცეცხლსასროლი იარაღი ბ-ს დაუმიზნა, ხოლო ამ იარაღის მიმცემმა წაართვა. ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილეებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს. იმ შემთხვევაშიც ასეთი ვითარება იქნება, თუ თანამონაწილეთა ნებას ამსრულებელიც არ შეუერთდა. მაგალითად, თუ წამქეზებელი ამსრულებელს ეტყვის, რომ მან მკვლელობა აღარ ჩაიდინოს, რადგან ეს ცოდვაა და ამსრულებელიც დაეთანხმება, ორივეს მხრიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას აქვს ადგილი. თუ წამქეზებელი იარაღზე აუკრავს ხელს ამსრულებელს და ამით პირს მკვლელობას გადაარჩენს, მაშინ

⁵³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

წამქეზების მოქმედება ნებაყოფლობით ხელის აღებად შეფასდება, ხოლო მკვლელობის მცდელობად ამსრულებლის მოქმედება.⁵⁴

რამდენადაც დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მიზანი, ამდენად მხოლოდ პასუხისმგებლობას შეამსუბუქებს თანამონაწილეთა მოქმედება, თუ დანაშაული მაინც დასრულდა მათი მოქმედების მიუხედავად. სსკ-ის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და ფსიქიკურმა დამხმარემ ვერ შეძლეს თავიანთი მოქმედებით ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრება თავიდან აეცილებინათ, მაშინ სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ მათ მიერ მიღებული ზომები შეიძლება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნიოს.⁵⁵

სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით ხელის აღების ნების მქონე მონაწილე ამსრულებელი ან თანამონაწილე მცდელობის გამო არ დაისჯება:

- თუ იგი ნებაყოფლობით დააბრკოლებს დანაშაულის ფორმალურ დამთავრებას, რომლის მცდელობაშიც ლეზულობდა მონაწილეობას ქმედებაში შეტანილი საკუთარი წვლილის გაუვნებელოდებით ან სხვა გზით;

- თუ იგი ნებაყოფლობით და სერიოზული განწყობით დანაშაულის დამთავრების ხელშესაშლელად მიმართავს ძალისხმევას იმ შემთხვევისთვის, როდესაც, მაგალითად, მისი მონაწილეობის გარეშე უვარგისი მცდელობისას დანაშაული ვერ დამთავრდებოდა ან განხორციელდება მის მიერ უკვე განხორციელებული წინარე წვლილისგან დამოუკიდებლად.⁵⁶

სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი იქ ამკაცრებს ხელის აღების პრივილეგიის პირობებს, სადაც, რამდენიმე პირი ლეზულობდა მონაწილეობას დელიქტის მცდელობაში, რადგან ხელის აღების მიზნებისთვის დაუმთავრებელი მცდელობის შემთხვევაშიც კი საკმარისი აღარაა ქმედების მხოლოდ შემდეგი გაუგრძელებლობა. მცდელობასთან მიმართებით ხელის ამღებისათვის სასჯელისგან გათავისუფლება დადგება მხოლოდ იმ დამატებითი პირობის დაცვით, რომ უარის თქმით დანაშაულში შემდგომ მონაწილეობის მიღებაზე ან აღნიშნულ მომენტამდე დანაშაულში შეტანილი წვლილის უკან წაღებით, დანაშაულის დამთავრებასაც ხელი შეეშლება. ხელის აღების პირობების გამკაცრების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ კანონმდებელი ერთპიროვნულად მოქმედი ადამიანის მცდელობასთან შედარებით, უფრო საშიშად მიიჩნევს რამდენიმე მონაწილის

⁵⁴ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 200-223.

⁵⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 21-ე მუხლი, მე-4 ნაწილი.

⁵⁶ ი. ვესელსი, ჰ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., 2010, გვ. 382-383.

მიერ განხორციელებულ მცდელობას და მას ხელის აღების ისეთი წესის შემოღების სურვილი ჰქონდა, რომელიც მაქსიმალურად შეეწინააღმდეგება დანაშაულის დამთავრებას.

დანაშაულში იმ სხვა მონაწილის მიერაც შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაბრკოლება, რომლის ქცევასაც ეთანხმება ამსრულებელი, შესაბამისად თაამონაწილე. *condino sine qua non*-ის გაგებით, აუცილებელი არაა, რომ შედეგის დადგომის სხვა პირის მიერ წარმოებული ხელშეშლით უკანდამხვევის ქცევას ნამდვილად მიზეზობრივი დატვირთვა ჰქონდეს. დანაშაულში მონაწილეობის მიმღები ყველა პირი, ვალდებული არაა მისთვის შესაძლებელი, მაქსიმალურად სასიკეთო კვალი დაეტყოს ქმედებას. დაბრკოლების განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანამშრომლობის შეწყვეტითაც, თუ მონაწილის წარმოდგენის მიხედვით მისი მონაწილეობის გარეშე შეუძლებლად წარმოჩნდება დანაშაულის დამთავრება. მაგალითად, მკვლელობის მცდელობისას თანმდომდევრულად განხორციელებული მოწამვლით, სადაც დამხმარე, რომელმაც მსხვერპლს ნაწილ-ნაწილ უნდა მიაწოდოს საწამლავი, შეაჩერებს შემდეგომ მიწოდებას, ამ გზით ის ძირითადად ამსრულებლისთვის დანაშაულის დამთავრებას გადააქცევს შეუძლებლად. თანამსრულებლებს ასევე, შეუძლიათ, თავისუფალი ნებითა და ურთიერთთახმობის საფუძველზე, სიცოცხლისთვის არასაშიში გასროლის წარმოების შემდეგ, უარის თქმის გზით მათ განკარგულებაში არსებული დანაშაულის დამამთავრებელი საშუალების ამოქმედებაზე, დაგეგმილი მკვლელობის მცდელობაზე ხელი აიღონ.⁵⁷

შერაცხვისა და თანამონაწილეობის პრინციპების მიხედვით განვიხილოთ მოსამზადებელ სტადიაზე განხორციელებული ხელის აღება. სასჯელისაგან გათავისუფლებას ვერ მიაღწევს ადამიანი, რომელიც მონაწილეობდა დანაშაულის დაგეგმვაში და რომელმაც მას უკვე ხელი შეუწყო საკუთარი აქტებით, მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მან საერთო ჩანაფიქრზე უარი თქვა ჯერ კიდევ მოსამზადებელ სტადიაზე, ასევე, ცდილობს თავისი თანამზრახველების გადაბირებასაც და დანარჩენი თანამონაწილეები მის გარეშე განახორციელებენ დაგეგმილ ქმედებას და ისარგებლებენ ამ პიროვნების მიერ კვლავაც მოქმედი დანაშაულში შეტანილი წვლილით.

ხელის აღების მსურველმა დანაშაულში მის მიერ შეტანილი წვლილი სრულად უნდა გამოასწოროს. მთავარი რის შედეგადაც მან, სხვებთან ერთად პასუხი უნდა აგოს დამთავრებული დანაშაულისთვის სულ მცირე დახმარების სტატუსით მაინც რაც ქმედების დასრულებისათვის წარმოადგენს შესარაცხ მიზეზს. როდესაც ძირითადი ქმედება მცდელობის სტადიაზე ჩერდება მოქმედებს იგივე პრინციპები. თუ ხელის აღების მსურველი მის მიერ ქმედებაში შეტანილ წვლილს

⁵⁷ ი. ვესელსი, ჰ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., 2010, გვ. 384.

სრულად გაანეიტრალებს, მაშინ იგი მცდელობისათვის საერთოდ აღარ აგებს პასუხს, ხოლო თუ კვლავ განაგრძობს მოქმედებას დანაშაულში მის მიერ შეტანილი წვლილი, მაშინ ის შეიძლება დაისაჯოს მცდელობაში მონაწილეობის გამო.⁵⁸

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადების სტადიაზე, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობითაა შესაძლებელი. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადების სტადიაზე მაშინაა სახეზე, როდესაც დამნაშავე დანაშაულებრივი საქმიანობის შემდგომ გაგრძელებაზე ჯერ კიდევ პირობების შექმნის პროცესში უარს ამბობს. ნებაყოფლობით ხელის აღება აქტიური ქმედებით მაშინაა შესაძლებელი, როდესაც დამნაშავემ დანაშაულის ჩასადენად გარკვეული პირობები შექმნა, მაგრამ დანაშაულის ჩადენა შემდეგ გადაიფიქრა და ამ მიზნით მართლზომიერი მოქმედება განახორციელა.

მომზადების სტადიაზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მაშინ გვაქვს, როდესაც პირი ანეიტრალებს დანაშაულის ჩასადენად მომზადებულ პირობებს, თუმცა დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაშია დარწმუნებული. სხვაგვარი მოსაზრებაც არსებობს ქართული სისხლის სამართალში. პროფესორი თ.წერეთელი მიუთითებს, რომ მხოლოდ პასიურობით შეიძლება მომზადებისა და დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. გასაზიარებელია პროფესორ ი.დვალაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ როგორც მოქმედებით ისე უმოქმედობით ხდება ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის მომზადების სტადიაზე. ქურდობისათვის ბინაში შეღწევით, სახლზე მიდგმული კიბის წაღება უკან და გადაღვრა მკვლელობის მიზნით გამზადებული შხამის, დანაშაულზე მოქმედებით ნებაყოფლობით ხელის აღებაა. ცეცხლსასროლი იარაღის ყიდვა მკვლელობის მიზნით და გადაფიქრება მკვლელობის განხორციელებისა, სხვის ბინაში მკვლელობის მიზნით შესვლა და უკან დაბრუნება მკვლელობის განუხორციელებლად წარმოადგენს დანაშაულის მომზადებაზე უმოქმედობით ნებაყოფლობით ხელის აღებას. ხელის აღებისას მომზადების სტადიაზე პირს მხოლოდ იმ შემთხვევისთვის დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როდესაც სხვა დანაშაულს წარმოადგენს მისი ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება.⁵⁹

სსკ-ის 21-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, მაშინ, როდესაც პირმა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის განხორციელებისათვის ყველაფერი გააკეთა, ე.ი დამთავრებული მცდელობის დროს, ამ შედეგის აქტიურად თავიდან აცილებითაა შესაძლებელი

⁵⁸ ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2013, გვ. 102.

⁵⁹ ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2013, გვ. 103-104.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. დამთავრებულ მცდელობაზე ხელის აღებისთვის, დასახელებული მუხლის მიხედვით, აუცილებელია:

- ქმედება მიმართული დანაშაულის შედეგის თავიდან აცილებისაკენ;
- შედეგის თავიდან აცილება.

ქმედება მიმართული დანაშაულის შედეგის თავიდან აცილებისაკენ მოიცავს:

- აქტიურ მოქმედებას;
- თავად ჩამდენი პირის მიერ განხორციელებულს.⁶⁰

პროფესორ ი.დვალაძის აზრით, გამონაკლის შემთხვევებში, პირმა დამთავრებული მცდელობისას შესაძლოა ნებაყოფლობით უმოქმედობითაც აიღოს ხელი დანაშაულზე. მაგალითად, პირი ბავშვს ჩააგდებს წყალში. ბავშვს მისი ძალი გამოიყვანს ნაპირზე და პირი ძალს ბავშვის გადარჩენაში ხელს არ შეუშლის, რადგან მას შეეცოდება ბავშვი. პროფესორ ი.დვალაძის აზრით, მსხვერპლის ინტერესებიდან გამომდინარე, ქმედების დაუსჯელობით უნდა დასაჩუქრდეს პირის ამგვარი პასიურობა. პროფესორ ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხის აზრით, რადგან პირი თავად არ აქტიურობს დანაშაულებრივი შედეგის ასაცილებლად, იგი მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის გადარჩენაში არ უშლის ხელს სხვას, საკამათოა მის მიმართ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის გავრცელება.⁶¹

დაკვალიფიცირდება თუ არა დაუმთავრებელ მცდელობად ქმედება და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად უმოქმედობა, თუ პირმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია დანაშაულის განსახორციელებლად მიმართული პირველი ქმედების საშუალებით და მან არ გამოიყენა სხვა საშუალება, რომლითაც ვერ შეძლო მისი დანაშაულებრივი ქმედების შესაბამისი შემადგენლობის შედეგის გამოწვევა? არსებობს ამგვარი ქმედების შეფასების ორი გზა. მცდელობა ხელმოცარულია ცალკეული აქტის თეორიის მიხედვით, რადგან პირმა დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევისათვის ყველაფერი გააკეთა პირველივე მოქმედებით. ამგვარ შემთხვევაში შეუძლებელია უმოქმედობით დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღება, რადგან მსხვერპლი გადაარჩინა მხოლოდ შემთხვევითობამ. პირი უნდა დაისაჯოს დანაშაულის მცდელობისათვის.⁶²

შეფასების თეორიის მიხედვით ქმედებათა ერთობლიობაში ცალკეული აქტის თეორია სწორი არაა, რადგან პირს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება არ გამოუყენებია დანაშაულის

⁶⁰ იქვე, გვ. 105.

⁶¹ ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2013, გვ. 105.

⁶² იქვე, გვ. 106.

შემადგენლობის განსახორციელებლად. როდესაც ფაქტობრივად განხორციელებული ქმედება დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად გამოსადეგ სხვა შესაძლო მოქმედებებთან მჭიდროდაა დაკავშირებული დროსა და სივრცეში, როდესაც პირის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი მცდელობა სხვა შესაძლო ქმედებებთან ერთად ერთიან დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენს, ამ მოძღვრების თანახმად, პირს სხვა საშუალებით შეუძლია დანაშაულებრივი შედეგის მიღწევა და იგი აღარ გააგრძელებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას. მის მიმართ უნდა გავრცელდეს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსებული წესი. თუ ვერ დგინდება იცოდა თუ არა ამსრულებელმა რომ მას სხვაგვარადაც შეუძლია დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა, in dubio pro reo პრინციპის მიხედვით მცდელობა უნდა მივიჩნიოთ დაუმთავრებლად და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად პირის ქმედება. შემთხვევა სხვაგვარად კვალიფიცირდება, როდესაც პირმა უშედეგოდ სცადა დანაშაულის ჩადენა და მან მოგვიანებით დროის ხანგძლივი მონაკვეთის გასვლის შემდეგ არ გამოიყენა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების სხვაგვარი საშუალებანი. ამგვარ შემთხვევაში ერთი მხრივ ხელმოცარული მცდელობა გვაქვს და მეორე მხრივ უარის თქმა ახალი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაზე, რომელიც არ ქმნის ერთიან დანაშაულებრივ ქმედებას. ის ფაქტი, რომ პირმა დანაშაულის ჩასადენად არ გამოიყენა არსებული შესაძლებლობა, არ აისახება ხელმოცარული მცდელობის კვალიფიკაციაზე.⁶³

თანამონაწილეობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არა მარტო ამსრულებელს, არამედ თანამონაწილესაც შეუძლია. გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, რომელიც თანამონაწილეთა ბუნებითაა განპირობებული. ამიტომ მასთან დაკავშირებული იურიდიული შედეგებიც შედარებით განსხვავებულია. თუ ამსრულებელი დანაშაულის ჩადენაზე ხელს იღებს, თანამონაწილეები სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ავტომატურად არ თავისუფლდებიან. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.⁶⁴

პრობლემატურია ცალკეული თანამსრულებელის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა თანამსრულებლები ხელს არ აიღებენ დანაშაულის განხორციელებაზე და გამოიყენებენ დანაშაულის ჩადენაში შეტანილ მის წვლილს. ამ საკითხს არ

⁶³ ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2013, გვ. 106.

⁶⁴ ლ. ხარანაული, სადისერტაციო ნაშრომი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ. 342.

არეგულირებს სსკ-ის 21-ე მუხლი. ამ მუხლის თეოლოგიური განმარტებიდან გამომდინარე თანაამსრულებელმა მიზეზობრიობის ის ჯაჭვი უნდა გაწყვიტოს, რომელსაც მან სხვებთან ერთად სათავე დაუდო და აქტიურად უნდა შეუშალოს ხელი დანაშაულებრივი ქმედების აღსრულებას. ამ შემთხვევის გადაწყვეტისას არგუმენტაციის წესი უნდა გამოვიყენოთ *argumentum a minore ad maius*, დასკვნა მცირედან მეტისაკენ ანუ თუ მცირეა აკრძალული, მით უფრო მეტიც აკრძალული უნდა იყოს, ე.ი. თუ წამქეზებელი და დამხმარე ვალდებული არიან დანაშაულის დასრულებას აქტიურად შეუშალონ ხელი. თანაამსრულებელი მით უფრო ვალდებული უნდა იყოს დანაშაულებრივი შედეგი თავიდან აიცილიოს. პირი არ ასრულებდა დანაშაულის განხორციელების არავითარ ქმედებას, იგი არ ბატონობდა ქმედებაზე. ამსრულებლობის და თანაამსრულებლობის დამფუძნებელი ნიშანია ქმედებაზე ბატონობა.⁶⁵

აქცესორული ბუნების უარყოფა დამხმარის, წამქეზებლისა და ორგანიზატორის დანაშაულზე ხელის აღების დასჯადობაზე მსჯელობას აზრს დაუკარგავდა. თანამონაწილეობის არა ფართო, არამედ ვიწრო გაგებით ამსრულებელი თანამონაწილე არაა. სსკ-ის 22-ე მუხლის თანახმად ამსრულებელი ის პირია ვინც დანაშაული უშუალოდ ჩაიდინა, ან სხვა თანაამსრულებელთან ერთად მის ჩადენაში უშუალოდ მონაწილეობდა. ან ვინც დანაშაული სხვა ისეთი პირის მეშვეობით ჩაიდინა, რომელსაც ასაკის, შეურაცხაობის, ან სხვა გარემოების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.⁶⁶

აქედან გამომდინარე კანონმდებელი ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ის პირი, რომელიც არ განახორციელებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას უშუალოდ, თანაამსრულებელთან ერთად ან ცოცხალი იარაღის მეშვეობით არ ჩაითვლება ამსრულებლად. რაც შეეხება თანამონაწილეობას ეს უკანასკნელი თავის თავში გულისხმობს განზრახი დანაშაულის ჩადენაში ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას და ერთმანეთისგან ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს განასხვავებს.⁶⁷

ის ფაქტი არ იწვევს დავას, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა დანაშაულებრივი საქმიანობის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც სისხლის ამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე კონკრეტული დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის ჯგუფურად განხორციელებას ნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ თავისი სპეციფიკა გააჩნია ჯგუფურ

⁶⁵ იქვე, გვ. 343.

⁶⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22-ე მუხლი.

⁶⁷ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2013, გვ. 140.

დანასაულს. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ორი ან მეტი პირი ამა თუ იმ დანაშაულებრივ შემადგენლობას ერთობლივად ახორციელებს.⁶⁸

თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილის მოქმედების კვალიფიკაცია ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუ ამსრულებლის მოქმედება შეჩერდა მომზადების ან მცდელობის სტადიაზე, თანამონაწილემ დანაშაულის მომზადების ან მცდელობის მონაწილეობისათვის პასუხს აგებს. ხოლო თუ ამსრულებელმა დანაშაული დაასრულა, თანამონაწილემ დაისჯება დამთავრებული დანაშაულის მონაწილეობისათვის.⁶⁹

თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში უდიდესია თანამონაწილის როლი, ერთ შემთხვევაში ის ორგანიზებას უწევს დანაშაულებრივ ქმედებას, მეორეს მხრივ ამ უკანასკნელმა შესაძლოა ამსრულებელი დაიყოლოს დანაშაულის ჩადენაზე ან სულაც გარკვეული ფსიქოლოგიური თუ ტექნიკური საშუალებით დანაშაულის ჩადენას შეუწყოს ხელი. შესაძლოა ამსრულებელმა დამოუკიდებლად არათუ ვერ, არამედ ესა თუ ის უმართლობა არც ჩაიდინოს. კითხვა სრულიად ბუნებრივად ჩნდება: დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს როგორ უნდა გადაწყდეს თანამონაწილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი? 1960 წლიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ჩნდება ორგანიზატორი როგორც თანამონაწილის ერთერთი სახე, მანამდე ითვლებოდა, როგორც დანაშაულის ამსრულებელი.⁷⁰

მიუხედავად იმისა, რომ ის შესაძლოა დანაშაულის ადგილზე სულაც არ იმყოფებოდეს, უდიდესია მისი გავლენა დანაშაულის ჩადენაზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი ყოველთვის თავისი ორგანიზატორული, წარმმართველი, ხელმძღვანელობითი ფუნქციით გამოირჩევა. კერძოდ ორგანიზატორი ცალკეულ პირებს შემოიკრებს და დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩააბამს, ინდივიდუალური შესაძლებლობის გათვალისწინებით ანაწილებს მათ შორის როლებს, მათ შესაბამის დავალებას აძლევს, დანაშაულის ჩადენის გზაზე დაბრკოლებათა მოსახსნელად დანაშაულის კვალის მოსასპობად და კონპირაციის მიზნით ზომებს იღებს.⁷¹

ამრიგად, ორგანიზატორი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა ჯაჭვს ხელმძღვანელობს, მას კოგნიტური ელემენტის მაღალი დონე გააჩნია, მათში განათლებულ ადამიანებს ხშირად შეეხვედებით. ორგანიზატორის განზრახვა დანაშაულის განვითარების თითოეულ ეტაპს მოიცავს, თუმცა გამონაკლისის სახით ამსრულებლის ექცესი შეიძლება ვახსენოთ. ორგანიზატორმა

⁶⁸ გ. ნაჭყებია და სხვები, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 189.

⁶⁹ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 192.

⁷⁰ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 194.

⁷¹ გ. ნაჭყებია და ი. სხვები, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 212.

შესაძლოა ადამიანები არა რომელიმე კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად შეაკავშიროს, არამედ ორგანიზებული ჯგუფი შექმნას და მის საქმიანობას ხელმძღვანელობდეს. ეს უკანასკნელი, ამდენად თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე რაც შეიძლება დანაშაულის დადგენაში, როლების გადანაწილებაში, მოქმედებათა თანმიმდევრობის განსაზღვრასა და ზოგადად დანაშაულის ორგანიზებაში გამოიხატოს, საზოგადოებისთვის ყველაზე მეტი საფრთხის შემცველი ფიგურაა თანამონაწილეთა სახეებიდან. მაგრამ ზოგჯერ თვით ასეთი ორგანიზებული და დანაშაულებრივ საქმიანობაზე მყარი გადაწყვეტილების მქონე პიროვნებებიც კი დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით იღებენ ხელს. სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ მათ ამსრულებელი გადაარწმუნეს, ხელისუფლების ორგანოს დროულად შეატყობინეს ან ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს სხვაგვარად შეუშალეს ხელი და ამით დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა არ მისცეს. ძირითადი პრინციპი უცვლელია, კერძოდ საბოლოო და ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებით ისეთი ქმედება უნდა განახორციელოს ორგანიზატორმა, რომლითაც დანაშაულის თანამონაწილეს ან ამსრულებელს დანაშაულის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა არ მიეცემა და შედეგი აცილებული თავიდან იქნება.

ცალკე ყურადღების ღირსია ისეთი შემთხვევა, როდესაც ამსრულებელს მკვლელობის ჩადენაზე ხელი ააღებინა წამქეზებელმა, მაგრამ მესამე პირმა, რომლის შესახებ პირველმა წამქეზებელმა არ იცოდა ამსრულებელი აიძულა იგივე დანაშაული ჩაედინა. მოცემულ შემთხვევაში, პირველ წამქეზებელს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნებაყოფლობით ხელის აღების გამო.⁷²

მართალია ის შედეგი განხორცილდა, რომელიც პირველი წამქეზებლის თავდაპირველი განზრახვით იყო მოცული, მაგრამ აქ გადამწყვეტი არა შედეგის დადგომის ფაქტორია, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის სხვა ძირითადი პირობები, კერძოდ ნებაყოფლობითობა, რომელიც სახეზეა და დამდგარ შედეგთან პირველი წამქეზებლის ქმედება მიზეზობრივად არ არის დაკავშირებული.

კონკრეტულ შემთხვევაში ამოსავალია ის, რომ კანონის ფარგლებში სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა თავიდან იქნას აცილებული. სხვაგვარ ხელის შეშლად ასევე, ისეთ შემთხვევას მოიაზრებენ, როდესაც წამქეზებელი ამსრულებელს მკვლელობის ჩადენაზე თავიდან წააქეზებს, ხოლო შემდეგ აღნიშნულს გადაიფიქრებს და ვინაიდან აღარ არსებობს სხვა საშუალება

⁷² ლ. ხარანაული, სადისერტაციო ნაშრომი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ. 344.

ამსრულებელს მკვლელობის თავიდან ასაცილებლად დაარწმუნებს ჯანმრთელობის დაზიანების მიყენებაზე მსხვერპლის მოკვლის ნაცვლად. ამ შემთხვევაში მკვლელობასთან მიმართებაში წამქეზებლის მხრიდან ნებაყოფლობითი ხელის ალების მომენტი გვაქვს, მაგრამ პასუხისმგებლობის საკითხია საინტერესო. რისკის შემცირების თეორიის თანახმად პირი არ დაისჯება უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენისთვის წაქეზებისთვის, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან ობიექტური შერაცხვის არარსებობის გამო გათავისუფლდება, თუმცა მეორეს მხრივ ყურადღება იმას უნდა მივაქციოთ, რომ თავდაპირველად წამქეზებელი უფრო დიდი რისკის განზრახ შექმნის ინიციატორი თავად გახდა და მას შედეგი, ჯანმრთელობის დაზიანება შეერაცხება ობიექტურად. შესაძლებელია, რომ მას სსკ-ის 38 მუხლის საფუძველზე ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოების გამო არ დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.⁷³

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით წამქეზებელი ამსრულებელს უქმნის რა დანაშაულის ჩასადენად ისეთ ძლიერ მოტივს, რომელიც მნიშვნელოვან ბიძგს გადაწყვეტილების მისაღებად წარმოადგენს, კანონმდებელი წამქეზებელს უწესებს ნებაყოფლობით ხელის ალებისთვის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების მაღალ სტანდარტს, რომლისთვისაც მხოლოდ დანაშაულის მიზეზობრიობიდან უბრალო გამოთიშვა საკმარისი არ არის, არამედ ავალდებულებს მას, რომ სერიოზულად გაისარჯოს, რათა დანაშაულებრივი შედეგი თავიდან იქნას აცილებული.

დახმარება დანაშაულში თანამონაწილეობის მესამე და მეტად სფეციფიკური სახეა. სსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად დამხმარეა, ის ვინც დანაშაულის ჩადენას შეუწყობ ხელი, რაც შეიძლება როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ანუ ინტელექტუალური ფორმით გამოიხატოს. შესაბამისად დამხმარე ორი სახისა: ფიზიკური და ფსიქიკური დამხმარე. დახმარება დანაშაულის ჩადენაში, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზატორული საქმიანობისგან განსხვავდება. ორგანიზატორი დანაშაულის ჩადენის ორგანიზატორია, ამ მხრივ მეორეხარისხოვანია დამხმარის როლი. ზოგიერთ ავტორთა აზრით, თანამონაწილეობის ყველაზე სუსტი ფორმა დამხმარეა.⁷⁴ მას არ ეკუთვნის დანაშაულის ჩადენის იდეა, ამ იდეის გავრცელება და ჩანერგვა სხვებისთვის, მაგრამ სადაც არსებობს დამხმარე, მას თავისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მოქმედებით ერთიანი უმართლობის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.⁷⁵

კანონმდებელი დახმარების გამოვლენის ფორმებს სამართლიანად არ აკონკრეტებს, რადგან ის ამა თუ იმ საქმის ვითარებიდან გამომდინარე განსხვავებულია და გარკვეული თავისებურება

⁷³ იქვე, გვ. 346.

⁷⁴ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013. გვ. 332.

⁷⁵ გ. ნაჭყებია და ი. სხვები, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 216.

ახასიათებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ზოგადად კი ფიზიკური დახმარება დანაშაულის ჩადენის იარაღისა თუ სხვა საშუალების გადაცემაში, დანაშაულის ჩადენის გზაზე ფიზიკური დაბრკოლებების მოხსნით, მორგებული გასაღების დამზადებით და ამსრულებელზე მისი გადაცემით, დანაშაულის ადგილის წინასწარი მომზადებით და ა.შ. შეიძლება გამოიხატოს.⁷⁶

ფიზიკურ დამხმარეს ხშირად დანაშაულის ამსრულებელთან აიგივებენ, განსაკუთრებით მაშინ თუ ის დაკავებულია ამსრულებლისთვის დაბრკოლებათა მოშორებით. პროფესორი ო. გამყრელიძე სამართლიანად მიუთითებს, რომ არ იქნება სწორი საკითხის ასე გაგება. ამსრულებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობას, მაშინ როცა დამხმარე არ ასრულებს შემადგენლობის არც ერთ ნაწილს.⁷⁷ ანუ მისი საქმიანობა მხოლოდ დანაშაულის ჩასადენად საჭირო იარაღის და საშუალებათა მიწოდებით, დაბრკოლებათა თავიდან აცილებით და სხვაგვარის დახმარებით შემოიფარგლება.⁷⁸

ფსიქიკური დამხმარე დანაშაულის ჩასადენად რჩევა-დარიგების მიცემაში, დამნაშავის და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დაფარვის წინასწარ შეპირებაში, ამსრულებლის მიერ უკვე მიღებული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების განმტკიცებაში და ა.შ. გამოიხატება, რითაც ფსიქიკური დამხმარე წაქეზებლისგან განსხვავდება. პროფესორ თ. წერეთლის თქმით, წამქეზებელი ამსრულებლის გადაწყვეტილების მიღებისთვის გადამწყვეტ მოტივს ჰქმნის, ხოლო ფსიქიკური დამხმარე კი არ აღძრავს ასეთ მოტივს, არამედ განამტკიცებს უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას, რის შედეგადაც ამსრულებელი ხდება უფრო თავდაჯერებული და უყოყმანო. ამიტომ, წამქეზებელი თანამონაწილეთა ჯგუფში დამხმარესთან შედარებით მეტად საშიშ ფიგურად აღიქმება. სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ დამხმარესაც სხვა თანამონაწილეთა მსგავსად ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან.

დამნაშავის გადარწმუნება, რაც ფსიქიკურ დამხმარესაც შეუძლია თავის მხრივ, ყველა თანამონაწილესთვის საერთოა. სახელმწიფო ორგანოებისთვის შეტყობინებასა და სხვაგვარ ხელის შეშლაზე იგივე შეიძლება ითქვას. კანონმდებელი ნებაყოფლობით ხელის აღების ცნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ჩანაწერით, თანამონაწილეთათვის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ერთ-ერთ სავალდებულო წინაპირობად დანაშაულის დაუმთავრებლობასა და შედეგის თავიდან აცილებას უთითებს. მიუხედავად ამისა დამხმარის მიმართ ერთგვარი

⁷⁶ იქვე, გვ. 217.

⁷⁷ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 199.

⁷⁸ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2013, გვ. 232.

გამონაკლისია დაშვებული. კერძოდ სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების დეფინიციიდან გამომდინარე, დამხმარე თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო დანაშაულებრივი შედეგის მიუხედავად, თუ ის უარს განაცხადებს შეპირებული ქმედების შესრულებაზე ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე ან უკან დაიბრუნებს გადაცემულ იარაღს ან სხვა საშუალებას დანაშაულის დამთავრებამდე. განსახილველ მუხლში კანონმდებელი არ აკონკრეტებს თუ აქ საუბარი როგორი სახის დამხმარეზეა. 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი ყველა დამხმარისგან დანაშაულებრივი შედეგის ასაცდენად შესაბამისი ზომების მიღებას წამქეზებლისა და ორგანიზატორის თანაბრად მოითხოვდა.⁷⁹ დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი საკითხს არეგულირებს განსხვავებულად. პროფესორი ო. გამყრელიძე მართებულად შენიშნავს, რომ, როდესაც დამხმარე გარკვეულ რჩევა-დარიგებას აძლევს და უზიარებს საკუთარ კრიმინალურ გამოცდილებას ამსრულებელს, რაღაც თვალსაზრისით წამქეზებელს უთანაბრდება და ამ უკანსკნელის მსგავსად დანაშაულის ბოლომდე არ მიყვანის სტანდარტი მასაც მოეთხოვება. ამსრულებელმა ამ დროს, რომ არ ისარგებლოს მის მიერ მიცემული რჩევა დარიგებებით, დამხმარემ ყველა ზომა უნდა მიიღოს. სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველ წინადადებაში სწორედ ასეთი დამხმარეა ნაგულისხმევი. რაც შეეხება ფსიქიკური დამხმარების ისეთ გამოვლინებას, როცა დამხმარე ამსრულებელს გარკვეული ქმედების შესრულებას, მაგალითად, კარის ღიად დატოვებას, დანაშაულის დაფარვას და ა.შ. პირდება, მაგრამ შემდეგ პირვანდელი შეპირების გადაფიქრების შესახებ შეატყობინებს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლდება.

კანონმდებელი ამის წინაპირობად აწესებს შეტყობინების განხორციელებას დანაშაულის დაწყებამდე, რაც დამხმარეს ნებაყოფლობით ხელის აღების უფლებას გარკვეულწილად უზღუდავს. ლ. ხარანაულის აზრით, სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველ წინადადებაში სიტყვები „... დანაშაულის დაწყებამდე ...“ სიტყვებით „დანაშაულის დასრულებამდე“ უნდა შეიცვალოს.⁸⁰

ამრიგად, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით განისაზღვრება დანაშაულის ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის სისხლისსამართლებრივი

⁷⁹ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 174.

⁸⁰ ლ. ხარანაული, სადისერტაციო ნაშრომი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ. 349.

პასუხისმგებლობა, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ისინი იმავდროულად იყვნენ დანაშაულის თანამსრულებლები. ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ამსრულებელი შეიძლება კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულის სპეციალური სუბიექტი იყო, პირს როგორც ორგანიზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება.⁸¹

დანაშაულის თანამონაწილეების და ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესწავლის შემდეგ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესწავლა.

⁸¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

თავი III. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით

3.1. გერმანული მოდელი

დავადგინეთ, რომ როდესაც ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დამნაშავე დანაშაულში ხელის აღების დროს მოქმედებს ნებაყოფლობით და ამავე დროს, პირდაპირი განზრახვით გამიზვნაა შესაძლებელი როგორც ასეთი, ნებაყოფლობითობას არ წარმოადგენს. საკითხი დაისვა სისხლის სამართლის ლიტერატურაში იმის შესახებ შესაძლებელია თუ არა, რომ დანაშაულზე ხელის აღებად ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც დამნაშავე შესაძლებლად თვლის დაზარალებულის გადარჩენას, ე.ი. როდესაც დამნაშავე ევენტუალური განზრახვით მოქმედებს. გერმანული სისხლის სამართლის პრაქტიკაში შემდეგნაირად წყდება ევენტუალური განზრახვით დანაშაულზე ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი: მაგალითად, ა-მ თავის ცოლს ქ-ს მუცელში დანა ერთხელ დაარტყა. იგი ცოლის მიმართ საკმაოდ აგრესიულად იყო განწყობილი. მიუხედავად ამისა, მან დანაშაულებრივი ქმედება გაწყვიტა და გავიდა ოთახიდან. ამ შემთხვევაში გერმანიის მიწის სასამართლომ ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტი უარყო, რადგან მისი აზრით, როგორც ობიექტურად, ისე სუბიექტურად დამთავრებული იყო არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებული მკვლელობის მცდელობა. გერმანიის ფედერალური სასამართლო ამასთან დაკავშირებით ფიქრობს, რომ ასეთი შეფასება არ გამოიწვევდა დავას მაშინ, როდესაც დადგინდებოდა, რომ ბრალდებული მოქმედებდა მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვით ანუ მას პირდაპირ არ ჰქონდა განზრახული ცოლის მოკვლა.⁸²

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფის მიხედვით, ასე განისაზღვრა მცდელობა: დანაშაულის მცდელობას ის ადამიანი ახორციელებს, რომელიც საკუთარი წარმოდგენის მიხედვით ქმედების შემადგენლობის განხორციელებას უშუალოდ დაიწყებს.⁸³

იმ საკითხის თაობაზე, თუ რა იგულისხმება სიტყვებში საკუთარი წარმოდგენის მიხედვით, ქმედების შემადგენლობის განხორციელებას უშუალოდ დაიწყებს, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. თანამედროვე მიდგომით, რომელსაც მისდევს გერმანიის სასამართლო პრაქტიკაც, მცდელობის განმსაზღვრელი ცნებებია დროსა და სივრცეში სიახლოვის კავშირი და დაზარალებულის დაცულ პირად სფეროზე ზემოქმედება. ასევე, უშუალოდ შემდგომი კრიტერიუმი ქმედების

⁸² ლ. ხარანაული, სადისერტაციო ნაშრომი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ. 333.

⁸³ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, 22-ე პარაგრაფი.

შემადგენლობის განხორციელების.⁸⁴ ასევე, სამართლებრივი წესრიგის საფუძვლიანობაზე საზოგადოებრივი რწმენის შერყევა და სხვა.⁸⁵

ზემოთ დასახელებული ობიექტური კრიტერიუმების მიუხედავად, სუბიექტურად ხდება მათი განმარტება, კერძოდ, არა შექმნილი საფრთხისა და ობიექტური სიახლოვის მიხედვით, არამედ შესაბამისად სუბიექტის წარმოდგენისა.⁸⁶ ამიტომ ქმედებათა მცდელობის სტადიად დაკვალიფიცირება შემთხვევითი არ არის. მაგალითად: იმ პირთა ქმედება, რომლებმაც საცხოვრებელი სახლის კარზე დააკაკუნეს, რომ გაღებისთანავე ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით თავს დასხმოდნენ მესაკუთრეს ყაჩაღობის მცდელობად იქნა შეფასებული.⁸⁷ პირის მიერ სახლზე კიბის მიდგმა, რომ ქურდობის მიზნით ღია ფანჯრიდან შემძვრალიყო,⁸⁸ პირის მიერ ავტომანქანის წინა თვლის ხელით შემოწმება იმ შემთხვევაში, თუკი თავისუფალი იქნებოდა საჭე, რათა მას მაშინვე დაუფლებოდა. ეზოდან ძაღლის იმ მიზნით გაყვანა, რომ შემდეგ სახლში გაქურდვის მიზნით დაუყოვნებლივ შესულიყო, შემთხვევის ადგილზე დამალული გისოსების გამწვევი იარაღის ამოღება სამალავიდან, რომ გისოსების გაწევას დაუყოვნებლივ შესდგომოდა შეფასებულია ქურდობის მცდელობად.

აღსანიშნავია მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც ქურდობის მომზადებად შეფასდა პირის ქმედება, რომელიც დაკავებულ იქნა კარის საკეტის შემოწმების დროს. თბილისის საქალაქო სასამართლოს N1/497-13 განაჩენი.19 მარტი 2013; შეად. R v. Tosti საქმეს, სადაც მსგავსი შემთხვევა მცდელობად შეფასდა.

პროფესორ ქ.მჭედლიშვილი-ჰედრიხის აზრით, გერმანიის სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში გავრცელებული დანაშაულის მცდელობის უპირატესად სუბიექტური ინტერპრეტაცია მის საკანონმდებლო განსაზღვრებასთან სრულ შესაბამისობაშია.⁸⁹ სადაც ქმედების მცდელობად მიჩნევისთვის ობიექტური ელემენტი კი არაა განმსაზღვრელი, არამედ შექმნილ საფრთხეზე პირის სუბიექტური წარმოდგენა. ამდენად, იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ქმედებები

⁸⁴ ლ. ხარანაული, სადისერტაციო ნაშრომი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ. 210.

⁸⁵ Dubber M. and Hornle T. Criminal Law. A Comparative Approach. Croydon, Oxford University Press. 2014. p.356.

⁸⁶ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2013, გვ. 88.

⁸⁷ ი. ვესელსი, ჰ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., 2010, გვ. 352.

⁸⁸ ლ. ხარანაული, სადისერტაციო ნაშრომი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ. 215.

⁸⁹ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2013, გვ. 88.

მიჩნეულია მცდელობად, შეიძლება არ დაეთანხმო არსობრივად, მაგრამ დოგმატიკური საფუძველი აქვს გერმანულ სისხლის სამართალში.⁹⁰

გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით დანაშაულის მცდელობის შეუცვლელი ელემენტია დანაშაულებრივი გადაწყვეტილება. დანაშაულებრივი გადაწყვეტილება დამნაშავის განზრახვის მეშვეობით დგინდება, რომელიც დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისაკენაა მიმართული.⁹¹

გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერებაში და სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ პიროვნებაში დაშვებული შეცდომა ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს. გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით დანაშაულის მცდელობა სამართლის ნორმისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ყოველი მცდელობა დამნაშავის მიერ დანაშაულის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას მოითხოვს, რომელიც მიმართულია დანაშაულის დასრულებისაკენ. როდესაც დანაშაულის მცდელობა ხასიათდება, მეცნიერები მის პოზიტიურ და ნეგატიურ ფაქტორებზე მიუთითებენ.

მცდელობის ნეგატიურ ელემენტებს იწვევს:

- შედეგის განუხორციელებლობა, ეს არის პირველი მიზეზი, რომელიც შეიძლება იყოს მცდელობის უვარგისი საშუალების გამოყენებით გამოწვეული, ასევე, შეიძლება უვარგისი ობიექტის მიმართ განხორციელებული ქმედებით იყოს გამოწვეული;
- მეორე მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტი, როდესაც დამნაშავე დანაშაულის დაწყების წინ შეურაცხადი გახდა და მან ქმედება ასეთ მდგობარობაში გააგრძელა. ამ ვითარებაში დამნაშავეს ბრალად ვერ შეეფარდება ობიექტურად განხორციელებული შედეგი;
- როდესაც სახეზე გამამართლებელი ვითარებაა, შედეგის დადგომის მიუხედავად, ქმედება შეიძლება მცდელობად შეფასდეს;
- იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავის ქცევა სინამდვილეში არ არის მოცული სისხლისსამართლებრივი ქმედებით, დანაშაულის დამთავრება გამოირიცხება.

მცდელობის დროს განზრახვა ცოდნასა და ნებელობას მოიცავს. დანაშაულის მცდელობა და დამთავრებული დანაშაული ერთმენეთისაგან ობიექტური ნიშნებით განსხვავდებიან. ქმედება დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, რომელიც ქმედებასთან ერთად მოიცავს უმოქმედობასაც. ქცევის სუბიექტური მხარე ადამიანის ქმედებაში განსაზღვრულ

⁹⁰ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, 22-ე პარაგრაფი.

⁹¹ ლ. ხარანაული, სადისერტაციო ნაშრომი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ 171.

მიზნებსა და მოტივებს მოიცავს. ობიექტური მხარე კი ობიექტურ გარე სამყაროზე ნებისყოფის გარეგან გამოვლინებით ადამიანის ზემოქმედებას ნიშნავს, რომელსაც მოქმედებაშიც და უმოქმედობაშიც აქვს ადგილი.⁹²

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში იმის შესახებაა საუბარი, რომ დანაშაულის მცდელობის შეუცვლელი ელემენტია დანაშაულებრივი გადაწყვეტილება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ როდესაც ქმედებას დასახლებული ობიექტი აკლია, ამ შემთხვევაში მცდელობის უმართლობის დასაბუთება შეუძლებელი იქნება. დანაშაულის მცდელობა სრულ ობიექტურ შემადგელობას მოითხოვს, ამ დროს განზრახვა ობიექტური შამადგენლობის ყველა ნიშანზე უნდა იყოს ორიენტირებული. ქმედების სრული ნება სახეზე იმ შემთხვევაშია, როდესაც დამნაშავე დანაშაულზე ხელის აღების შესაძლებლობას ითვალისწინებს. დანაშაულის მცდელობის დროს აუცილებელია დანაშაულის ბოლომდე განხორციელების ნება სახეზე იყოს. სხვა შემთხვევაში განზრახვას ადგილი არ ექნება. განზრახვის კოგნიტური ელემენტი კი გულისხმობს დამნაშავეს წარმოდგენას, რომ განსაზღვრული დანაშაულის ან გადაცდომის უმართლობას აქვს ადგილი. თეორიები კლასიკურ და თანამედროვე თეორიებად იყოფა. ისინი თავის თავში სხვადასხვა თეორიებს მოიცავენ. განვიხილოთ რამდენიმე თეორია. ობიექტური თეორიები სათავეს იღებენ ფოიერბახის მოძღვრებიდან. ფოიერბახს დანაშაულის მცდელობად ქმედება მიაჩნია, რომელიც განზრახ დანაშაულთან მიზეზობრივ კავშირშია და ასევე ობიექტურ საშიშროებას შეიცავს. ფოიერბახის აზრით დანაშაულის მომზადების დასჯადობა აუცილებელი იყო. ამით სახელმწიფო დანაშაულს თავიდან აიცილებდა. სასჯელის მუქარის ქმედებებზე გავრცელებას, რომლებიც დანაშაულს ჯერ არ მიეკუთვნება, მაგრამ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის წინაპირობებს დასაწყისშივე ამოკვეთა სჭირდება. ეს დასკვნა ფოიერბახის ფსიქოლოგიურ იძულების თეორიიდან მომდინარეობდა. ფოიერბახის მოწაფე მიტერმაიერი თვლიდა, რომ ფოიერბახის თეორიებს ნაკლოვანებები ჰქონდა. მიტერმაიერის აზრით, დანაშაულის იარაღის დამზადება დაუსჯელი მოსამზადებელი ქმედებაა. მისი აზრით დანაშაულის მცდელობა, მხოლოდ დამნაშავეს მიერ დანაშაულის იარაღის გამოყენებისას იყო სახეზე.

მცდელობის პირობათა თეორია პირობას და მიზეზს ერთმანეთისაგან მიჯნავს. ეს თეორია დანაშაულის შემადგენლობის წინ მდგომ ქმედებებს მიაკუთვნებს მცდელობას, ხოლო შერეულ ქმედებებს განიხილავს დაუსჯელ მოსამზადებელ ქმედებებად, რომელიც მხოლოდ შესაძლებელს ხდის დანაშაულის ჩადენას. დანაშაულის შემადგენლობის ნაკლებობის თეორიის მიხედვით,

⁹² ლ. ხარანაული, სადისერტაციო ნაშრომი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ. 191.

დანაშაულის მცდელობას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა სახეზე არ არის დანაშაულის შედეგი. ხელყოფის თეორია წარმოადგენს საფრთხის თეორიის ერთერთ სახეს. ამ თეორიის თანახმად, მცდელობის დადგენის გადამწყვეტ ნიშნად ხელყოფის არსებობა მიიჩნევა.

იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადებისა და მცდელობის სტადიაზე შესაძლებელია ანუ ჯერ კიდევ მანამ, სანამ არ დასრულებულა დანაშაული და მართლსაწინააღმდეგო შედეგი არ დამდგარა. საინტერესოა ფორმალურ დანაშაულებთან მიმართებაში როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, ვინაიდან ერთი რომ ეს უკანასკნელი უკვე დასრულებულია ქმედების განხორციელებისთანავე და შესაბამისად მომზადებასა და მცდელობაზე საუბარი აზრს კარგავს და მეორე დანაშაულებრივი შედეგის დადგომა არ მოითხოვება. ჩნდება კითხვა: ფორმალურ დანაშაულებში დასჯადობის ადრეულ ეტაპზე გადმოწევა ქმედების ჩამდენ პირს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას ხომ არ ართმევს? აღნიშნული საკითხი გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან მიმართებაში განვიხილოთ. მაგალითად გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 242-ე პარაგრაფი ქურდობის შემადგენლობა მითვისების მიზნით, გულისხმობს უცხო მოძრავი ნივთის მითვისებას. დაუფლება კი სახეზე მაშინაა, როცა დასრულებულია ნივთზე სხვისი ფაქტობრივი ბატონობა და დამკვიდრებულია ახალი ბატონობა, ამისთვის კი გერმანული კანონმდებლობის თანახმად საკმარისია ქურდმა თაროდან რაიმე ნივთი აიღოს და ჩაიდოს ჯიბეში. თუ ეს უკანასკნელი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად დანაშაულის დასრულებულად გამოსაცხადებლად საკმარისია, ქართული კანონმდებლობა ამისთვის განკარგვის შესაძლებლობის მომენტს ასახელებს. თუ ამსრულებელი მაღაზიაში თაროდან აიღებს ძეხვის ქილას და ჩაიდებს ჯიბეში სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაული ჯერ დამთავრებული არაა, რადგან ჯერ არ დაუფლებია ნივთს. დანაშაული მხოლოდ მაშინ იქნება დამთავრებული, როდესაც მას მსგავსად მესაკუთრის, ამ ძეხვის განკარგვა შეეძლება თავისუფლად.⁹³

მაშასადამე, ვინაიდან ქართულ სისხლის სამართალში ჯერ კიდევ მცდელობაა, მაშინ როდესაც გერმანული კანონმდებლობით ქმედება დასრულებულ დანაშაულად ითვლება, ამსრულებელს ნივთის დაუფლებიდან მის განკარგვამდე ჯერ კიდევ აქვს იმისათვის საკმარისი დრო, რომ უარი თქვას დანაშაულის ბოლომდე მიყვანამდე და დააბრუნოს ნაქურდალი ნივთი. ის ფაქტი რომ დანაშაული დასრულებულია იურიდიული გაგებით, სავსებით სამართლიანად, ამსრულებელს

⁹³ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2013, გვ. 87.

აღარ აძლევს ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას, ვინაიდან თუ დანაშაულს მაინც დამთავრებულად არ მივიჩნევდით ფორმალურად დასრულების შემდეგ და დაველოდებოდით მატერიალური შედეგის დადგომას, საერთოდ აზრს დაკარგავდა შედეგგარეშე და შედეგიან დელიქტებზე საუბარი.

თავის მხრივ ნებაყოფლობით ხელის აღებასაც მიეცემოდა მეტად ფართო ინტერპრეტაცია და დამნაშავის ინტერესების დაცვის მთავარ გარანტად იქცეოდა დაზარალებულის ინტერესების ნაცვლად. გამომდინარე ცალკეულ დანაშაულთა საშიშროებიდან კანონმდებელი მიუთითებს ცალსახად და გარკვევით მათ დასრულებულად ადრეულ ეტაპზე და ეს არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ამსრულებლისთვის ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის წართმევა, მით უფრო მაშინ, როცა ეს უკანასკნელი სულაც არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების ერთადერთი წინაპირობა და იგივე კანონმდებელი დანაშაულის დასრულების შემდეგაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებას ითვალისწინებს ქმედითი მონაწილების გამო.

სსკ-ის 68-ე მუხლი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით დამნაშავის პირვანდელი სამართლებრივი მდგომარეობის აღსადგენად მიმართულ დანაშაულის ჩადენის შემდგომ ქმედებას არ ტოვებს უყურადღებოდ. ამდენად, კანონმდებელმა მართებულია და სჯობს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის საზღვრების მოშლას და მისი იურიდიულად დამთავრებული დანაშაულის შემდგომ ეტაპზე ნორმების გავრცელებას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების ნაწილში მიმართოს მსგავს დიფერენცირებას. საბოლოოდ კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ იქ სადაც ამსრულებელს ნორმის ინტერპრეტაციიდან გამომდინარე საშუალება აქვს ქმედების შემადგენლობის მომზადება ან მცდელობა განახორციელოს, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა არ უნდა წავართვათ, ხოლო იქ სადაც დანაშაულის მომზადებასა და მცდელობაზე შეუძლებელია საუბარი, ამსრულებელზე ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმის გავრცელება თვითნებურად არ უნდა მოხდეს.

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ხელშეშლილ მცდელობას მიჯნავენ უვარგისი მცდელობისგან, რომელსაც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.⁹⁴ ხელშეშლილი ისეთი მცდელობაა, როდესაც პირი დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად გამოიყენებს ვარგის საშუალებას, მაგრამ რაიმე გარემოებათა გამო შედეგი არ

⁹⁴ ლ. ხარანაული, სადისერტაციო ნაშრომი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ. 272.

დადგება და იგი კონკრეტულ მომენტში დანაშაულს იმ საშუალებით ვეღარ დაასრულებს, რაც მას ხელთ აქვს.⁹⁵

მაგალითად „ა“ ერთადერთ ტყვიას ესვრის „ბ“-ს და ააცილებს. მოცემულ შემთხვევაზე უსამართლო იქნებოდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლების გავრცელება, ვინაიდან ერთის მხრივ დანაშაულის დასრულება შეუძლებელია ობიექტურად, მაშინ როდესაც დანაშაულის ობიექტურად დასრულების შესაძლებლობა უნდა არსებობდეს ნებელობით ხელის აღების დროს და მეორეს მხრივ დამნაშავემ იცის, რომ ვეღარც დაასრულებს ამ დანაშაულს გარემოებებიდან გამომდინარე. კოგნიტური ელემენტი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს დამნაშავის მიერ შედეგის დადგომის შესაძლებლობის ცოდნას მოიცავს.

ადრეულ გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ხელშემილ მცდელობას როგორც არანებაყოფლობით ხელის აღებად მოიხსენიებდნენ, რაც იმთავითვე იმას მიუთითებს, რომ ურთიერთსაწინააღმდეგოა ეს ორი ინსტიტუტი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათი ერთმანეთისგან გამოჯვნაზე. ხელშემილ მცდელობად ასევე ისეთი შემთხვევა მიიჩნევა, როდესაც პირს შეუძლია არა დასახულ მიზანს, არამედ მართლსაწინააღმდეგო შედეგს მიაღწიოს.

ამრიგად, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ გერმანიის სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში გავრცელებული დანაშაულის მცდელობის უპირატესად სუბიექტური ინტერპრეტაცია მის საკანონმდებლო განსაზღვრებასთან სრულ შესაბამისობაშია.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფის მიხედვით, ასე განისაზღვრა მცდელობა: დანაშაულის მცდელობას ის ადამიანი ახორციელებს, რომელიც საკუთარი წარმოდგენის მიხედვით ქმედების შემადგენლობის განხორციელებას უშუალოდ დაიწყებს.

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ხელშემილ მცდელობას მიჯნავენ უვარგისი მცდელობისგან, რომელსაც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ხელშემილი ისეთი მცდელობაა, როდესაც პირი დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად გამოიყენებს ვარგის საშუალებას, მაგრამ რაიმე გარემოებათა გამო შედეგი არ დადგება და იგი კონკრეტულ მომენტში დანაშაულს იმ საშუალებით ვეღარ დაასრულებს, რაც მას ხელთ აქვს.

გერმანული მოდელის შესწავლის შემდეგ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფრანგული მოდელის შესწავლა.

⁹⁵ ქ. ჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2013, გვ. 88.

3.2. ფრანგული მოდელი

საფრანგეთის მოქმედი, 1994 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლი მცდელობის იმ განსაზღვრებას დღემდე ინარჩუნებს, რომელიც განისაზღვრა 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსით და რამაც მაშინდელი მსოფლიოს დაუმთავრებელ დანაშაულის დასჯადობასთან მიმართებით არსებული მიდგომის ფორმირებაზე უდიდესი როლი ითამაშა. 1810 წლის ფრანგული სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, მცდელობა განისაზღვრა, როგორც დანაშაულის შემადგენლობის აღსრულების დასაწყისი, რომელიც, მეცნიერების სწორი შენიშვნით, ნიშნავდა დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საფუძვლად ობიექტური თეორიის აღიარებას.⁹⁶

აღსრულების დასაწყისი, როგორც განმსაზღვრელი მცდელობის ობიექტური შემადგენლობისა, სხვა ევროპული ქვეყნის კანონმდებლობაში, მათ შორის, გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსში⁹⁷ და პრუსიის 1851 წლის სისხლის სამართლის კოდექსში აისახა.⁹⁸

ფლეტჩერის თქმით, ინგლისის პრეცედენტულ სამართალში ბოლო აქტის ტესტის გავრცელება სწორედ ფრანგულმა მოდელმა განაპირობა, რომლითაც Eagleton-ის საქმე გადაწყდა.⁹⁹

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები აღსრულების დაწყების კრიტერიუმის ობიექტურ ორიენტაციას ერთხმად აღიარებენ, რასაც ადასტურებდა მაშინდელი სასამართლო პრაქტიკაც, იქვე კრიტიკულ მოსაზრებებსაც გამოთქვამენ, რომ აღნიშნული განსაზღვრება უნაკლო არ არის და ის სუბიექტური მიდგომით ინტერპრეტაციისთვის ღიას ტოვებს ფანჯარას. ჯ. ფლეტჩერის თქმით, ის ძალზე ელასტიურია და პასუხს ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სრული სიცხადით ვერ იძლევა.

არაერთგვაროვანია თანამედროვე ფრანგული სასამართლო პრაქტიკაც და, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარად ეხმიანება მცდელობის დეფინიციის ელასტიურობასთან მიმართებით ფლეტჩერის შენიშვნას. საფრანგეთის სასამართლო, იმის განსასაზღვრად, თუ აღსრულების დაწყებაში რა იგულისხმება, სხვადასხვა ფორმულირებას იყენებს. ყველაზე გავრცელებული ფორმულირებით, მათ შორის დანაშაულის მცდელობის ქმედებაა, რომელიც პირდაპირ დანაშაულის შემადგენლობის განსახორციელებლად მიმართული. გასაკვირი არ უნდა იყოს მგავსი განუსაზღვრელი ფორმულირების შემდეგ ის, რომ საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში მცდელობის განვრცობითი განმარტების პრაქტიკა ძალიან ხშირია, რის საილუსტრაციოდაც შეიძლება არაერთი პოპულარული საქმის მოყვანა.

⁹⁶ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 2007, გვ. 444-445.

⁹⁷ 1871 წლის გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, 43-ე პარაგრაფი.

⁹⁸ 1851 წლის პრუსიის სისხლის სამართლის კოდექსი, 31-ე პარაგრაფი.

⁹⁹ ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2013, გვ. 40.

იმ პირის ქმედებაც თაღლითობის მცდელობად იქნა შეფასებული, რომელმაც გასაყიდად გამოიყვანა მანქანა, რომლის კილომეტრაჟიც გაცილებით ნაკლებს აჩვენებდა გავლილზე. საფრანგეთის სასამართლომ 1975 წლის საქმეში მსგავსად Gilliam-ისა, სადაც არსებითი ნაბიჯის ტესტით იხელმძღვანელა პენსილვანიის უზენაესმა სასამართლომ, იმ პირის ქმედება, რომელმაც საპატიმროს ფანჯრის გისოსის გადაჭრა დაიწყო, დანაშაულის შემადგენლობის აღსრულების დაწყების კონცეფციით პატიმრობიდან გაქცევად დააკვალიფიცირა.

ფრანგულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, რომელიც ემყარება საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკის კვლევას, მცდელობის განვრცობითი ინტერპრეტაცია განსაკუთრებით სექსუალური ხასიათის დანაშაულთა საქმეებზეა მიღებული. აგრეთვე იმ საქმეებზე, სადაც რეციდივისტი ქმედების სუბიექტი.

საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკის მოკლე ანალიზით იმის თქმაა შესაძლებელი, რომ ობიექტური თეორიით ნასაზრდოებმა მცდელობის დეფინიციამ თავისი ადრეული ბუნება დაკარგა და ის უფრო მეტად სუბიექტური მიდგომებით იმართება. რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, აღნიშნული პრაქტიკა ისეთივე ფართო და ყოვლის მომცველია რიგ დანაშაულებთან წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, როგორც ამერიკული სამოდელო კანონით აღიარებული არსებითი ნაბიჯის თეორია.

თუმცა ინგლისისა და ამერიკის შერთებული შტატების სასამართლოს მსგავსად, თაღლითობის მცდელობად არ შეაფასა საფრანგეთის სასამართლომ იმ პირის ქმედება, რომელმაც საკუთარ მანქანას იმ მიზნით წაუკიდა ცეცხლი, რომ სადაზღვეო თანხას თაღლითურად დაუფლებოდა. პირის ქმედება აღკვეთილი იქნა სადაზღვეო კომპანიისთვის მიმართვამდე.

3.3. სხვა ევროპული ქვეყნების მოდელები

ჩეხეთისგან, ნიდერლანდებისგან და უნგრეთისგან განსხვავებით, სადაც გენერალურად ისჯება დანაშაულის მომზადება და რამაც, საქართველოს მსგავსად, მცდელობის ობიექტური ორიენტაცია განაპირობა, მომზადების სტადია დასჯადი არ არის ესპანეთსა და იტალიაში, მაგრამ სისხლის სამართლის დოგმატიკის თანახმად, შეზღუდულად განიმარტება დანაშაულის მცდელობა.

სიკეთის დაზიანებასთან დროსა და სივრცეში ახლოსაა ქმედების მცდელობად შეფასების კრიტერიუმები, ასევე დაცული სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნას იღებენ მხედველობაში. წინა კოდექსით დანაშაულის მომზადება დასჯადი იყო იტალიაში და შესაძლოა, ძველი პრაქტიკიდან მოსდგამთ მცდელობისგან განმასხვავებელი კრიტერიუმები.

ესპანეთს კრიმინალიზებული სხვა წინარე ქმედებები აქვს, როგორც კონსპირაცია და დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდებაა, ასევე მრავალი შეკვეცილი დელიქტი, რითაც მომზადების დაუსჯელობის კომპენსირებას ერთგავარად ახდენს და მცდელობის განვრცობით განმარტებას არ საჭიროებს.¹⁰⁰

საინტერესოა დანაშაულის მცდელობა დანიის სისხლის სამართლის მიხედვით, რომელიც კანონშივე ორ სახედ ჰყოფს: მოსამზადებელი სტადიაა მცდელობის პირველი სახე, ხოლო მეორე სახე ისაა, რასაც ობიექტური თეორიის მიხედვით საფრთხით და სიახლოვით გაგებული ჰქვია მცდელობა. დანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ვინმეს მოკვლის განზრახვით იარაღის შექმნა ან გაქურდვის მიზნით შენობის დათვალიერება უკვე დანაშაულის მცდელობას წარმოადგენს.¹⁰¹

ზემოთ დასახელებული ქვეყნების მაგალითზე შესაძლოა ითქვას, რომ ქვეყნების ერთი ჯგუფი, რომლებიც გენერალურად არ სჯიან მომზადებას, დანაშაულის მცდელობის დასასჯელად უფრო მეტად სუბიექტურ თეორიას იყენებენ, ვიდრე ქვეყნები, რომლებიც გენერალურად სჯიან მომზადებას. იმ პირობებში, სადაც მცდელობა არა ობიექტური სიახლოვისა და შექმნილი საფრთხის კრიტერიუმით, არამედ ქმედების სუბიექტის წარმოდგენის მასშტაბით ან დაზარალებულის აღქმული შიშებითა და ფანტაზიებით, ან კიდევ ქმედების სუბიექტის საშიშროებით და სხვა მსგავსი კრიტერიუმებით განისაზღვრება, ყოველთვის ბუნდოვანი იქნება მცდელობის ცნება და კანონი საგარანტიო ფუნქციას ვერასოდეს შეასრულებს.

ამრიგად, დანაშაულის მცდელობის ბუნების სწორი გაგება აუცილებელია და თუ სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნებისთვის მცდელობის მიღმა მდგომი ქმედების პრევენცია მნიშვნელოვნად მიაჩნია, მან უნდა მოახდინოს მისი კრიმინალიზება და დაარქვას თავისი სახელი, დანაშაულის გენერალური მომზადება, ან მომზადების სპეციალური შემადგენლობა შექმნას, და მცდელობის განვრცობას ხელი არ უნდა შეუწყოს.

მკვლელობის მცდელობად ითვლება მისი მოკვლის განზრახვით მსხვერპლის ძებნა ბინაში. ქართული სისხლის სამართლის დოქტრინაში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედება ისევე, როგორც ჩეხეთის და უნგრეთის სისხლის სამართალში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, შეფასდებოდა მომზადების სტადიად. მაგალითად: საკეტის დაზიანებისა და გისოსების გამწევი რკინის სამალავიდან ამოღება საცავში შეღწევის მიზნით მცდელობად ვერაფრით დაკვალიფიცირდება, რადგან ქმედების შემადგენლობის აღსრულებასთან ქმედება ჯერ კიდევ არ

¹⁰⁰ Winter L. B., del Moral García A., *Criminal Law in Spain*, Kluwer Law International, 2013, P. 120.

¹⁰¹ დანიის სისხლის სამართლის კოდექსი, 21(1) მუხლი.

არის საკმარისად ახლოს და შესაბამისად, მცდელობისთვის დამახასიათებელი ზომის საფრთხეს ჯერ კიდევ ვერ ქმნის.¹⁰²

ამრიგად, შეიძლება დასკვნის გაკეთება:

- გერმანიის სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში გავრცელებული დანაშაულის მცდელობის უპირატესად სუბიექტური ინტერპრეტაცია მის საკანონმდებლო განსაზღვრებასთან სრულ შესაბამისობაშია;
- საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკის მოკლე ანალიზით იმის თქმა შესაძლებელია, რომ ობიექტური თეორიით ნასაზღვრობმა მცდელობის დეფინიციამ თავისი ადრეული ბუნება დაკარგა და ის უფრო მეტად სუბიექტური მიდგომებით იმართება;
- ჩეხეთისგან, ნიდერლანდებისგან და უნგრეთისგან განსხვავებით, სადაც გენერალურად ისჯება დანაშაულის მომზადება, მომზადების სტადია დასჯადი არ არის ესპანეთსა და იტალიაში, მაგრამ სისხლის სამართლის დოგმატიკის თანახმად, შეზღუდულად განიმარტება დანაშაულის მცდელობა.
- დანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ვინმეს მოკვლის განზრახვით იარაღის შექმნა ან გაქურდვის მიზნით შენობის დათვალიერება უკვე დანაშაულის მცდელობას წარმოადგენს.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესწავლის შემდეგ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სასამართლო პრაქტიკის შესწავლა.

¹⁰² Thesis: Developmental stages of offense. Pilsen, University of West Bohemia in Pilsen Faculty of Law, 2013, P. 21-22.

თავი V. კვლევის შედეგები

სამაგისტრო ნაშრომის თემის კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ თუ პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი, მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა.

დანაშაულზე ხელის აღება როგორც დანაშაულის მომზადების სტადიაზე, ისე დაუმთავრებელი მცდელობისას შეიძლება.

პირს დამთავრებული მცდელობის დროსაც შეუძლია დანაშაულზე ხელი.

თუ პირის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, ნებაყოფლობით ხელის აღებისას, იგი ფაქტობრივად ჩადენილისათვის დაისჯება.

პირმა ნებაყოფლობით ხელის აღებისას თავიდან უნდა აიცილოს შედეგი თავისი აქტიური მოქმედებით.

თუ მიუხედავად აქტიური მცდელობისა პირმა ვერ აიცილა დანაშაული, დამთავრებული დანაშაულისათვის დაისჯება.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დასაშვებია პირის უმოქმედობითაც.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მხოლოდ სასჯელისაგან პერსონალური გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სასამართლომ გაკიცხვის დასაბუთების დროს უნდა გაითვალისწინოს: ნებაყოფლობით ხელის აღებისას პირმა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აგოს პასუხი, თუ მის მიერ ჩადენილ ქმედებაში რაიმე სხვა დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა უკვე არის. წინააღმდეგ შემთხვევაში დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ პირმა, მაგალითად, მკვლელობისათვის იარაღი შეიძინა, მაგრამ მკვლელობის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელი აიღო.

დანაშაულის ჩადენის განზრახვა და შესაბამისად, დაწყებული დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საშიშროება, ქრება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, რაც დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანების საფრთხეს უვნებლყოფს.

სოციალურად უსაფრთხო არა მარტო თვითონ პირი ხდება, არამედ დაცული ობიექტისათვის ზიანის მიყენების საფრთხეს მის მიერ განხორციელებული ქმედებაც კარგავს.

დასკვნა

ამრიგად, სამაგისტრო ნაშრომის თემის კვლევის დასაწყისში მიზნად დავისახეთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესწავლა, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების ანალიზი, მათი შეპირისპირება და კონკრეტული დასკვნების გამოტანა და პრობლემატურ შემთხვევათა განსხვავებული კუთხით წარმოჩენა. საკვლევი თემის აქტუალობიდან და კვლევის მიზნიდან გამომდინარე კვლევის ამოცანად დავისახეთ შემდეგი საკითხების შესწავლა:

- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური შემადგენლობა;
- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური შემადგენლობა;
- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის თანამონაწილეების და ამსრულებლის მიერ;
- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით;

სამაგისტრო ნაშრომის თემის კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე მსჯელობა იძლევა მრავალხმრივ საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას. მისი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების განვითარებას გააჩნია მყარი დოგმატურ-სამართლებრივი საფუძველი, რაც ნაშრომში სხვადასხვა თეორიების მიმოხილვს დროს კარგად გამოიკვეთა. სისხლის სამართლის მეცნიერები ამ თეორიებზე დაყრდნობით აღნიშნული საკითხის დასაბუთებას და დანაშაულის სისტემაში მისი ადგილის განსაზღვრას ახდენდნენ. ნებაყოფლობით ხელის აღებაზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ დასახელებული საკითხი სახელმწიფოს ხელში არსებულ საშუალებას წარმოადგენს, რითაც სახელმწიფო ცდილობს დამნაშავეს ე.წ. ოქროს ხიდი აუგოს და სამართლებრივი სიკეთის დაზიანება თავიდან აიცილოს.

კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ნებაყოფლობით ხელის აღებით მცდელობისას წარმოშობილი საფრთხე და საზოგადოებაში წესრიგის დარღვევით გამოწვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური განცდა ქრება, რომელიც შეიძლება ახასიათებდეს არასამართლიან მცდელობასაც. თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში, დოგმატური თვალსაზრისით ნებაყოფლობით ხელის აღების ყველაზე უფრო რელევანტურ საფუძველს ქმნის კრიმინალ-პოლიტიკური, იგივე ოქროს ხიდის და სასჯელის მიზნის მოდიფიცირებული თეორიები.

სხვადასხვა აზრის მიუხედავად დანაშაულის სისტემაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი უმართლობის ან ბრალის გამომრიცხველ გარემოებას არ წარმოადგენს, არამედ იგი სასჯელისაგან გათავისუფლების პერსონალური საფუძველია.

ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური პირობების დახასიათება ცხადყოფს, რომ როგორც ერთერთ სუბიექტურ პირობას, ნებაყოფლობითობას პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. მთავარია, რომ ხელის ამღები მოქმედებდეს ნებაყოფლობით და ამის საფუძველზე დანაშაულებრივ საქმიანობაზე ხელს იღებდეს.

რთული და კომპლექსური ფენომენია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. იმისთვის, რომ თანამედროვე სახე მიეღო ეს საკითხი საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა. შედეგად წამახალისებელი ნორმა მივიღეთ, რომელიც არსებულ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას სავსებით პასუხობს.

სამაგისტრო ნაშრომში დანაშაულზე ხელის აღების ნებაყოფლობითობასთან მიმართებაში იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებები და თეორიები იქნა განხილული. დავინახეთ, რომ კანონდებელი ოქროს ხიდის თეორიის თანახმად, ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, თითქოს დამნაშავეს ქმედებამდელ სამართლებრივ სამყაროში დასაბრუნებლად, მართლაც ხიდს უგებს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების არსი და ბუნება ლიტერატურაში გამოთქმული სხვა თეორიების საფუძველზეც ცალსახად იკვეთება.

ნაშრომში წარმოჩენილი იქნა დანაშაულის სისტემაში აღნიშნული საკითხის ადგილი და როლი. მითითებული იქნა, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება კი არ არის, არამედ, პირის სასჯელისგან გათავისუფლების პერსონალური საფუძველია.

სამაგისტრო ნაშრომში ასევე, განხილულ იქნა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების წინაპირობები და საზღვრები. ამ ეტაპზე ყურადღების მთავარ ობიექტს ევენტუალური განზრახვით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი წარმოადგენდა, რომელიც შესაბამისი მაგალითებით სამართლიანად იქნა უარყოფილი, ვინაიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არა მხოლოდ მომზადებისა და მცდელობის სტადიაზეა შესაძლებელი და რადგან შეუძლებელია მომზადებისა და მცდელობის განხორციელება ევენტუალური განზრახვით, ბუნებრივია, შეუძლებელია ევენტუალური განზრახვით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების განხორციელებაც. გარდა ამისა კონკრეტულ შემთხვევებში ხელის აღებისთვის ორი უმნიშვნელოვანესი პირობის, ნებაყოფლობითობისა და საბოლოობის არსებობა წარმოადგენს შეფასების საგანს. ნებაყოფლობითობა სსკ-ის 21-ე მუხლის მიზნებისთვის პირის ისეთი ნებელობითი ქცევით იქნა გაგებული, რომელზეც სხვა გარეშე ფაქტორები გავლენას ვერ ახდენს,

ხოლო საბოლოო მთვარი განმსაზღვრელი ფაქტორი ეფუძნება მიღებული გადაწყვეტილების სიმყარეს.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ასევე, საფრთხის შემქნელ დელიქტებთან მიმართებაში იქნა განხილული, რაც იმით იყო საინტერესო, რომ აღიარებული დოგმატიკის თანახმად სისხლის სამართალში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის მომზადების ან მცდელობის ეტაპზეა შესაძლებელი, როცა არ დამდგარა დანაშაულებრივი შედეგი და დანაშაული დასრულებული არაა, ხოლო დანაშაულის მცდელობის სტადიაზე უკვე დამთავრებულია საფრთხის შემქნელი დელიქტი.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, რომელთა უმეტესობაც გამომდინარე დელიქტის ბუნებიდან დანაშაულის ბოლომდე განხორციელებისგან ხელის აღებას შეუძლებლად მიიჩნევს, ჩვენს მიერ პროფესორი თ. ცქიტიშვილის მოსაზრება იქნა გაზიარებული, რომლის თანახმადაც ვერ იქნება გამართლებული ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის სრულებით უარყოფა. ვინაიდან შესაძლებელია ზოგიერთი საფრთხის შემქნელი დელიქტის მომზადება და მცდელობა, არ უნდა გამოირიცხოს მათთან მიმართებაში ხელის აღების შესაძლებლობაც.

შეიძლება ითქვას, რომ არაერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხზე მსჯელობა. სახელმწიფოს ხელში არსებულ ისეთი საშუალება იგულისხმება, რომელიც პრაქტიკაში სწორი ინტერპრეტაციის და გამოყენების შემთხვევაში როგორც დაზარალებულის ისე დამნაშავის სამართლებრივი ინტერესების დაცვას ემსახურება, რაც თანამედროვე სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვრად სამართლიანად მიჩნეული უნდა იქნეს.

საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე შესაძლოა ითქვას, რომ ქვეყნების ერთი ჯგუფი, რომლებიც გენერალურად არ სჯიან მომზადებას, დანაშაულის მცდელობის დასასჯელად უფრო მეტად სუბიექტურ თეორიას იყენებენ, ვიდრე ქვეყნები, რომლებიც გენერალურად სჯიან მომზადებას. იმ პირობებში, სადაც მცდელობა არა ობიექტური სიახლოვისა და შექმნილი საფრთხის კრიტერიუმით, არამედ ქმედების სუბიექტის წარმოდგენის მასშტაბით ან დაზარალებულის აღქმული შიშებითა და ფანტაზიებით, ან კიდევ ქმედების სუბიექტის საშიშროებით და სხვა მსგავსი კრიტერიუმებით განისაზღვრება, ყოველთვის ბუნდოვანი იქნება მცდელობის ცნება და კანონი საგარანტიო ფუნქციას ვერასოდეს შეასრულებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., მერიდიანი, 2013.
2. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008.
3. ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., 2012.
4. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011.
5. ნაჭყებია გ. და სხვები, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედაქტორი ი. დვალაძე, მერიდიანი, თბ., 2007.
6. სულაქველიძე დ., დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, ჟურნალი აღმანახი, სამართალი, 1980, N4.
7. სულაქველიძე დ., დანაშაულის მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, ჟურნალი სამართალი N3-4, თბ., 1991.
8. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, მერიდიანი, თბ., 2013.
9. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, მერიდიანი, თბ., 2011.
10. ცქიტიშვილი თ., ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, #4, თბ., 2014.
11. წერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961.
12. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი 1, მერიდიანი, თბ., 2007.
13. ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა, ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2013.
14. ლომსაძე მ., საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბ., 2014.
15. Baumann J., Weber U., Mitsch W., Strafrecht Allgemeiner Teil, Lehrbuch, მე-11 გამოცემა, Bielfeld, 2003.
16. Dubber M. and Hornle T. Criminal Law. A Comparative Approach. Croydon, Oxford University Press. 2014.
17. Leipziger Kommentar StGB, მე-12 გამოცემა, ტომი I, §1-31, Berlin, 2007.
18. Thesis:Developmental stages of offense.Pilsen, University of West Bohemia in Pilsen Faculty of Law, 2013.

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995.

2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999